ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 15 სექტემბერი, 2023 №182 (9218) ფასი: 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქუთაისის №2 დაწესებულებიდან დაახლოებით 20-მდე პატიმარი კლინიკა „ვივამედში“ სამკურნალოდ გადაიყვანეს“

გვ.3

ამერიკამ ოთარ ფარცხალაძე დააანქცირა!

გვ.2

ენტონი ბლინკენი: „სახელმწიფო დეპარტამენტი ასანქცირებს რუსეთის სადაზვერვო სამსახურის ერთ ოფიცერს და ერთ ქართველ-რუს ოლიგარქს, რომელზეც რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა („ეფესბემ“) ქართულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე რუსეთის სასარგებლოდ გავლენისთვის ზემოქმედება მოახდინა“

გიორგი რუხაძე: „ამერიკულმა მხარემ ოფიციალურ თბილისს უთხრა, რომ მასკარადი დამთავრებულია, ყველამ იცის, ვინ ვინ არის“

გვ.3

გედევან ფოფხაძე: „არ მგონია სააკაშვილმა ვინმეს ურჩიოს ან მოსთხოვოს, პრეზიდენტის იმპიჩმენტს მხარი დაუჭიროს“

„თუ იმპიჩმენტი არ ჩავარდება და პრეზიდენტს გადააყენებენ, ეს ხელისუფლება არჩევნებამდე ვერ მივა“

გვ.3

„პრეზიდენტის იმპიჩმენტს მე მხარს დავუჭერდი!“



გვ.2

მამუკა გამყრელიძე: „მეტი საქმე არ აქვთ ჩინელებს, რომ საქართველოში ჩამოსახლდნენ“

რა გადაწყვეტილება გამოიტანა სასამართლომ ლავროვის სიძის ქორწილის პროტესტისთვის დაკავებულ პირებზე

გვ.4

მეგის ქარდავას თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი 60.000 ლარის გაფლანგვა ბრალად ედება

„აფხაზეთში თვალს ვადევნებთ ქსენოფობიას“

ოკუპირებულ აფხაზეთში საზოგადოება ინალ არძინბას უპირისპირდება

გვ.4

4 ვინ არის 50 წლის კაცი, რომელიც დედას მოკვლით ემუქრებოდა და ბინებს სძალავდა

7 ქართული ძალოსნობა დოპინგის საფრთხეშია

6 რუსული გემიც იწვის

6 ორანგუტანი ადამიანების მხრიდან მრავალი წლის სექს-მონობისგან დაიხსნეს

1993230720223

„პრეზიდენტის იმპიჩმენტს მე მხარს დავუჭერდი!“

მამუკა გამყრელიძე: „მეტი საქმე არ აქვთ ჩინელებს, რომ საქართველოში ჩამოსახლდნენ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? ვისმენთ შეფასებებს, რომ ოპოზიცია ძალიან რთულ სიტუაციაშია, გარედან ცუდი საყურებელია უნდობლობა, დაპირისპირება. იმდენად არ ენდობიან ერთმანეთს, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის დროს, დარბაზში არშესვლისკენ მოუწოდებენ ერთმანეთს. რას ფიქრობთ პრეზიდენტის იმპიჩმენტთან დაკავშირებით?

– დავიწყოთ იქედან, რომ ერთმანეთის საპირწონე საერთოდ არ არის ეს ორი იმპიჩმენტი, რადგან პრეზიდენტის საკითხი სრულიად თითიდან გამოწოვილი თემაა. რის გამო უპირებენ პრეზიდენტს იმპიჩმენტს, ჩემთვის გაუგებარია. ურჩობის გამო?! მართალია, მან ნამდვილად დაარღვია ის ნორმა, რომელიც მას უკრძალავს მთავრობის გარეშე გადაწყვეტილების მიღებას და უცხოეთში სიარულს, მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, ეს არის თითიდან გამოწოვილი მის დასასჯელად. რაც შეეხება პრემიერის მიმართ იმპიჩმენტს, ეს ცოტა უცნაურია, თუმცა, გამოძიება რომ აუცილებელია, ეს ფაქტია.

– შეძლებს ოპოზიცია ამ საკითხის დაყენებას?

– როდესაც ოპოზიცია 50 ხმის მოგროვებასაც ვერ ახერხებს სიმბოლური იმპიჩმენტის მოსაწყობად, მერე ერთმანეთს უნდობლობას უცხადებენ და ამბობენ, სჯობს, საერთოდ არ შევიდეთ, რადგან ფარულ კენჭისყრაში ვინმემ ხმა საწინააღმდეგოდ არ მისცეს. ისეთ სამარცხვინო მდგომარეობაში ჩაიყენეს თავი, ერთმანეთს არ ენდობიან ეს დალოცვილები და ამომრჩეველი რატომ უნდა ენდოს?! ამ ოპოზიციამ აჩვენა, რომ ის არის სრულიად შეუმდგარი, სრულიად უმოქმედო და 2024-ის არჩევნებისთვის მათ უბრალოდ არანაირი შანსი არ ექნებათ „ოცნების“ საწინააღმდეგოდ. თუ აქტიურ ნაბიჯებს არ გადადგამენ, ან თუნდაც პარლამენტიდან არ გამოვლენ, ოპოზიციას არაფერი გამოუვა.

– რა თამაშს თამაშობს ოპოზიცია? ბევრს ჰგონია, რომ „ოცნებას“ ეხმარება სწორედ ასეთი განცხადებებით და არათანმიმდევრულობით. თავად ნაციონალები აბრალებენ ერთმანეთს, რომ ხელისუფლებას მიეყიდნენ.

– მნიშვნელობა არა აქვს, ოპოზიცია



„როდესაც მოვა პრინცი და მძინარე ოპოზიციას ტუჩებში აკოცებს, მაშინ გაიღვიძებენ“

გაიყიდა თუ არა. როდესაც შენი მოქმედების შედეგი არის „ოცნებისთვის“ სახარბიელო, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ უბრალოდ მავნებლობას ჩადიხარ. გაყიდული ხარ, შენ ამას ნებსით აკეთებ თუ უნებლიედ, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ან გაყიდული ხარ, ან სასარგებლო იდიოტი!

– ორივე შემთხვევაში აწყობს „ოცნებას“ ასეთი ოპოზიცია, გაყიდულიც და იდიოტიც.

– დიახ ასეა. წყალი არ გაუვა ამას – ან გაყიდული ხარ, ან სასარგებლო იდიოტი. როდესაც შენ „ოცნებას“ ე.წ. „სატოპკეებს“ უწევ, საერთოდ რაზეა ლაპარაკი. პირადად მე, ანგარიშშიც აღარ მყავს დღევანდელი საპარლამენტო ოპოზიცია.

– იმდენად მოცულები არიან ერთმანეთთან კინკლაობითა და იმპიჩმენტის თემებით, რომ სხვა აღარაფერი ახსოვთ.

– ერთობიან. საზოგადოებაც ერთობა, რასაც მე ვუყურებ, მედიაც ხელს უწყობს ამ ყველაფერში და აი, ასეთი იწილო-ბიწილოს თამაშია. საქმე კი არ კეთდება. ჩემი აზრით, მაინც უნდა დაველოდოთ ოქტომბერს, გამოჩნდება, თუ მოგვცემენ კანდიდატის სტატუსს, რაც ქვეყნისთვის ძალიან სასარგებლო იქნება.

– მოგვცემენ კი? ხომ ვხედავთ, რა პოზიცია აქვს „ქართულ ოცნებას“.

– დიდი იმედი მაქვს, რომ მოგვცემენ.

– რას ნიშნავდა კალაძის ეს აგდებული განცხადება, თუ რამის თავი გაქვთ, მოგვეცითო.

– კალაძის განცხადებაზე საერთოდ კომენტარს არ გავაკეთებ. ამაზე კომენტარის გაკეთება საერთოდ შეუძლებელია. რა უნდა ვთქვა ასეთ ხეპრე განცხადებებზე. მე რასაც ვუყურებ, მათ განცხადებებს არანაირ ყურადღებას აღარ აქცევენ ევროკავშირში. ეს სტატუსი სჭირდება ხალხს და სჭირდება ქვეყანას. ვნახოთ როგორი გადაწყვეტილება იქნება. ეს სტატუსი ქვეყნისთვის არის კარგი. ხელისუფლება და ოპოზიცია როგორ გამოიყენებს ამას, ეს ყველაფერი ჩემს ინტერესს მიღმაა.

– რას ფიქრობთ, რით დასრულდება ამ ორი იმპიჩმენტის საკითხი?

– რით დასრულდება და არაფრით.

– პრეზიდენტმა რა თამაში წამოიწყო? ახლა ოპოზიციას ხვდება აქტიურად.

– პრეზიდენტი წაუგებელ თამაშს თამაშობს ახლა. ოპოზიციაც ჩაითრია ამ თამაშში. სწორედ ის ოპოზიცია, რომელიც მას კაგებეს აგენტს უწოდებდა, ივანიშვილის მონას და ასე შემდეგ. ახლა აღმოჩნდა, რომ ეს ქალბატონი არის გამაერთიანებელი ოპოზიციის და დასავლური პრინციპების ერთადერთი დამცველი. ოპოზიციის მხრიდან ასეთი ხასიათის ცვლილება, აბსოლუტურად არასერიოზულია.

– თქვენ ბრძანეთ, რომ პირადად მე მხარს დავუჭერდი პრეზიდენტის იმპიჩმენტსო და ახლაც ეს პოზიცია გაქვთ?

– ახლაც ასე ვფიქრობ. ეს ჩემი პოზიციაა. ოპოზიციამ კი, რაც უნდა, ის გააკეთოს. მე ამ ქალის იმპიჩმენტს აუცილებლად დავუჭერდი მხარს. მისი მხრიდან მე ჯერ კარგი ვერაფერი დავინახე ქვეყნისათვის აქამდე. ახლა თუ გამოფხიზლდა, არ ვიცი. ისე, დასავლური იმიჯის მქონე პოლიტიკოსის სტატუსი მას უფრო აწყობს მისი მომავალი ცხოვრებისთვის. მას რომ პრეზიდენტად აღარავინ აირჩევს, ფაქტია. მისი აქტიურობა უნდა გამოიყენოს ქვეყანამ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი მაამებელი და მაქებარი ვიყო.

– პრემიერ-მინისტრზე რას იტყვით? რამდენად აწყობს დღეს ბიძინა ივანიშვილს იმიჯშელახული ღარიბაშვილი პრემიერად? რას მოიმოქმედებს ივანიშვილი წინასაარჩევნოდ?

– უკვე 11 წელია, ეს კაცი ამ ქვეყნის არაფორმალური მმართველია და ამ დროის განმავლობაში ვერავინ გამოიცნო მისი გონივრული წიაღსვლები. ძალიან რთული სათქმელია, რას იზამს ივანიშვილი.

– რამდენად წამგებიანია მისთვის ღარიბაშვილი?

– გააჩნია რა არის მისი მიზანი. ღარიბაშვილი ადვილად მოსაშორებელი რომ იქნება მისთვის, ეს ფაქტია. საარჩევნო საკითხები ძირითადად კობახიძეზეა ჩამოკიდებული. ასევე საინტერესოა ჩინელებთან ურთიერთობაში როგორ წავა საქმე? გამოჩნდება ეს ყველაფერი.

– ჩინელებთან აქტიური ნაბიჯები, უვიზო რეჟიმი, რა უნდათ საერთოდ? ოღონდ დასავლეთი არა და იყოს სამხრეთი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი?

– სამხრეთიც უნდა იყოს, აღმოსავლეთიც, ყველაფერი უნდა იყოს აუცილებლად...

– ჩრდილოეთის გარდა...

– დიახ, ჩრდილოეთის გარდა. პირველ ადგილას დასავლეთი უნდა იყოს, მაგრამ გინდა ისრაელი იყოს, გინდა საუდის არაბეთი და გინდაც ინდოეთი, ეს ურთიერთობები ჩვენთვის აუცილებელია. მნიშვნელოვანია ჩვენი გადარჩენისთვის.

– ჩინეთთან უვიზო რეჟიმის გამო დიდი აჟიოტაჟი ატყდა.

– ეს არის აჟიოტაჟი, რომელიც მესმის უკვე ათი წელია. მახსოვს, როგორ გამალებით მწყევლიდნენ ნაცნობი ადამიანებიც კი, 250 ათასი ჩინელის ჩამოსახლებას აპირებსო. ჩამოვიდა ვინმე?! არავინაც არ ჩამოსულა. ასი წელიწადი არ ვჭირდებით. ბრიყვი უნდა იყო, ეს რომ დაიჯერო. შეადარონ ეკონომიკური წინსვლა, ეკონომიკური მდგომარეობა, კაპიტალი, ინფლაცია, საშუალო ხელფასი. ეს ყველაფერი ხომ შედარებითია, არა? ვნახავთ, რომ ყველაფერში უკან ვართ და ვაგებთ. ჩინელი არ გამოიქცევა აქ, რაში სჭირდება აქ ჩამოსვლა. მათ ჰგონიათ, რადგან წილხვედრია ეს ქვეყანა, ჩინელები უნდა გადაირიონ და გადმოსახლდნენ აქ. მეტი საქმე არა აქვთ!

– ბატონო მამუკა, მოახლოვდა 2024-ის არჩევნები. როდის მორჩება ოპოზიცია ამ უსაგნო კინკლაობას და როდის გაიღვიძებს?

– როდესაც მოვა პრინცი და აკოცებს მძინარე ოპოზიციას ტუჩებში, სწორედ მაშინ გაიღვიძებენ. ხალხმა უნდა გაიღვიძოს, თორემ ოპოზიცია არაფრის გამკეთებელი არ არის. ხალხია მთავარი, მათ უნდა გამოიღვიძონ.

ამერიკამ ოთარ ფარცხალაძე დაასანქცირა!

ენტონი ბლინკენი: „სახელმწიფო დეპარტამენტი ასანქცირებს რუსეთის სადაზვერვო სამსახურის ერთ ოფიცერს და ერთ ქართველ-რუს ოლიგარქს, რომელზეც რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა („ეფესბემ“) ქართულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე რუსეთის სასარგებლოდ გავლენისთვის ზემოქმედება მოახდინა“

აშშ-მა საქართველოს ყოფილ მთავარ პროკურორს, ოთარ ფარცხალაძეს სანქციები დაუწესა. ამის შესახებ ინფორმაციას აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის უცხოური აქტივების კონტროლის ოფისი ავრცელებს.

მათი ცნობით, ახალი სასანქციო პაკეტის ფარგლებში სანქციები კიდევ 24 ინდივიდზე გავრცელდება, რომელთა შორის ოთარ ფარცხალაძეც არის.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ოთარ ფარცხალაძეს ქართველ-რუს ოლიგარქად მოიხსენიებს, რომელთანაც რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახური („ეფესბე“) მუშაობდა, რათა რუსეთის სასარგებლოდ გავლენა მოეხდინა ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკაზე.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი აცხადებს, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი და სახაზინო დეპარტამენტი უკრაინაში რუსეთის უკანონო შეჭრასთან დაკავშირებით კიდევ 150-ზე მეტ კომპანიასა და პირს ასანქცირებენ.

მისი თქმით, აღნიშნული ქმედებით აშშ-ის ხელისუფლება სამიზნეში იღებს იმ პირებსა და კომპანიებს, რომლებიც ჩართული არიან სანქციებისთვის გვერდის ავლაში, ვინც უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის წარმოების შესაძლებლობებს აფართოებენ, და ვინც პასუხისმგებელნი არიან რუსეთის ენერგეტიკის სამომავლო წარმოების გაძლიერებაზე.

– სახელმწიფო დეპარტამენტი ასევე ასანქცირებს რუსეთის სადაზვერვო სამსახურის ერთ ოფიცერსა და ერთ ქართველ-რუს ოლიგარქს, რომელზეც რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა („ეფესბემ“) ქართულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე რუსეთის სასარგებლოდ გავლენისთვის ზემოქმედება მოახდინა, – წერს ბლინკენი.

საქართველოში საზიანო გავლენასთან დაკავშირებით აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, ასევე, რუსეთის მოქალაქე ალექსანდრე ონიშჩენკოს ასახელებს, რომელიც ასევე, შეყვანილია სასანქციო სიაში.

სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, ონიშჩენკო რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ოფიცერია, რომელიც, სავარაუდოდ, დაეხმარა მის პარტნიორ ფარცხალაძეს რუსეთის პასპორტისა და, შესაძლოა, რუსეთის მოქალაქეობის აღებაში. სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, ფარცხალაძემ სრულიად აითვისა რუსული იდენტობა და რუსეთში ხშირად მოგზაურობს.

მათი ცნობით, ონიშჩენკო და რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახური ფარცხალაძეზე საკუთარ ბერკეტებს იყენებდნენ, რათა რუსეთის სასარგებლოდ გავლენა მოეხდინათ ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკაზე.

ამავდროულად, გავრცელებული ინფორმაციით, ფარცხალაძე „ეფესბესთან“ კავშირებით პირად სარგებელს იღებდა.

ამის გარდა, სანქციები რუსეთში დაფუძნებულ ორ მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანიაზეც გავრცელდა, რომელთა 50% ფარცხალაძეს ეკუთვნის: LLC Moscow Business Brokerage და LLC International Business Corporation.

Associated Press-ი წერს, რომ აშშ რუსეთიდან, თურქეთიდან, არაბთა გაერთიანებულ საამიროებიდან და საქართველოდან 150-ზე მეტ ბიზნესსა და ინდივიდს ასანქცირებს, რათა კრემლის ტექნოლოგიებზე, ფულსა და ფინანსურ არხებზე წვდომა აღკვეთოს უკრაინის წინააღმდეგ ომის საწარმოებლად.

ოთარ ფარცხალაძე საქართველოს მთავარ პროკურორად 2013 წლის 7 ნოემბერს დაინიშნა, ამავე წლის 30 დეკემბერს გადადგა.

• • •

ლევან ბეჟაშვილის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობის საგარეო მიმართულების ჯგუფის წევრები ბოლო თვეების განმავლობაში აქტიურად მუშაობდნენ საერთაშორისო ინსტიტუტებთან, რათა სანქციერების პოლიტიკა ხელშესახები გამხდარიყო.

– მინდა, ერთის მხრივ წუხილი გამოვთქვა, რადგან სანქციერების პოლიტიკა აზარალებს ქვეყნის ინტერესებს, მაგრამ ეს არის რეალური აუცილებლობა, რომ კრისტალიზირდეს, თუ ვინ მოქმედებს ამ ქვეყანაში საქართველოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ.

ოთარ ფარცხალაძე, ივანიშვილის პირადი ოლიგარქი, ივანიშვილის პროკურორი, ოდიოზური ფიგურა, რომლის მიმართებაშიც ცალსახა აზრია ჩამოყალიბებული ქართულ საზოგადოებაში და ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებში და მან თავის გამოძახილი ჰპოვა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილებაში. ჯერ კიდევ შარშან, ნაციონალური მოძრაობა“ აფრთხილებდა ხელისუფლებას, რომ ივანიშვილის, ფარცხალაძის, მამაცაშვილის, ჩხარტიშვილის, რუხაძის, ხიდაშელის მიმართ მიმ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„თუ იმპიჩმენტი არ ჩავარდება და პრეზიდენტს გადააყენებენ, ეს ხელისუფლება არჩევნებამდე ვერ მივა“

გედევან ფოფხაძე: „არ მგონია სააკაშვილმა ვინმეს ურჩიოს ან მოსთხოვოს, პრეზიდენტის იმპიჩმენტს მხარი დაუჭიროს“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, „ქართული ოცნება“ 100 ხმას თუ მოაგროვებს და პრეზიდენტის იმპიჩმენტი განხორციელდება, როგორ შეიძლება ქვეყანა 2024 წლის არჩევნებამდე მივიდეს?

– ძალიან ძნელად წარმოსადგენია. თუ იმპიჩმენტი არ ჩავარდება და პრეზიდენტს გადააყენებენ, ეს ხელისუფლება ნამდვილად ვერ მივა არჩევნებამდე.

– რატომ, მძიმე პოლიტიკური დღე დაუდგებათ?

– ქართული გამოთქმაა – გაუჟელს გატეხილი ჯობია, ისე იქნება ამათი ამბავი. აუცილებლად მოხდება სახალხო კონსოლიდაცია და სახალხო პროტესტი. ამ ქვეყნის მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა, პროდასავლურად განწყობილი ხალხი ქუჩაში გამოვა. ეს ხალხი გამოვა არა პრეზიდენტის დასაცავად, არამედ საკუთარი მომავლის დასაცავად.

– რას იტყვით ნაციონალური მოძრაობის წევრის ანი წითლიძის იდეაზე, რომ კენჭისყრის დღეს ოპოზიციონერი დეპუტატები სხდომათა დარბაზში არ შევიდნენ?

– მე მომწონს ეს იდეა. მართალია, ეს არის გარკვეული ფორმა, როგორ შეიძლება რეაგირება მოვახდინოთ „ოცნების“ მცდელობაზე, რომ ვიღაცები შეიძლება მოისყიდოს.

– შეიძლება მოისყიდოს?

– რატომაც არა. შეიძლება ერთი მილიონი დოლარი გადაუხადონ და მერე დარბაზში რომ იქნება, რასაკვირველია, ხელს მწვანე ღილკს მიაჭერს და ხმას მისცემს პრეზიდენტის იმპიჩმენტს. თუ საერთოდ არ შევლენ სხდომათა დარბაზში ოპოზიციონერი დეპუტატები, ამაზე საუბარიც დასრულდება.

ნაციონალურ მოძრაობას ჰყავს ოპოზიციიდან ყველაზე მეტი დეპუტატი პარლამენტში. მათი გაკონტროლება არ არის მარტივი. ამიტომ ეს იდეა არ არის ურიგო, რომ საერთო საქმის ღალატი არ მოხდეს. მერე თავის სამართლებლად ვერავინ იტყვის, რომ მიშას გამო გავაკეთე, რადგან მიშას არ იწყალებდა, ამიტომ გადავაყენე და ა.შ. არ მგონია მიხეილ სააკაშვილმა ვინმეს ურჩიოს ან მოსთხოვოს, პრეზიდენტის იმპიჩმენტს მხარი დაუჭიროს. ამ დროს ხომ ვიცით, რომ სააკაშვილი არაფერ შუაში იქნება და ფული ექნება აღებული.

– ან შეიძლება 2024 წლის საპარლამენტო სიაში ჩასმის პირობის სანაცვლოდ?

– არა, ეს გამორიცხულია. სიაში ჩასმის სანაცვლოდ, რაღაც გაურკვევლი პერსპექტივის სანაცვლოდ, ასეთ რამეზე არავინ წავა. მომავალი წლის პარლამენტში „ქართული ოცნება“ არ იქნება.

ხალხი, რომელიც პუტინის გავლენის სფეროში აღმოჩნდა, ხალხი, რომელიც ქვეყნას ევროპულ მომავალს უსპობს და ჩინეთთან აბამს კავშირებს, ამ ხალხს ხელისუფლებაში არაფერი ესაქმება. ამ ხალხს პარლამენტში არაფერი ესაქმება. „ქართული ოცნება“ დასასრულისკენ მიექანება. მათი დასრულება არავის აღელვებს, ქვეყანას რომ ვნებენ და უფსკრულისკენ მიაქანებენ, ეს არის პრობლემა. რაც უნდა ქნან ამათ, ჩინეთისა და რუსეთის გავლენის ქვეშ ამ ქვეყანას ვერავინ მოაქცევს. ამ გეოპოლიტიკური რეალობის ჟამს, წარმოუდგენელი სიბრიყვეა, ხელისუფლება ქვეყანას ჩინეთისა და რუსეთისკენ მიაქანებდეს. ამაზე ქართველი ხალხი საკდრის პასუხს გაცემს მათ. ამიტომ ვამბობ, რომ დასასრულისკენ მიექანებიან, იმდენად წამგებიან პოზიციაზე იმყოფებიან.

– „ქართულ ოცნებას“ პოლიტიკურად რამდენად აწყობს სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტი?

– არაფერი არ აწყობთ, შეუძლებელია აწყობდეთ, მაგრამ ამას ვერ ხვდებიან. ვერ ხვდებიან, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტი ოპოზიციის კონსოლიდაციასა და გავეშებული პროდასავლელი ხალხის ქუჩაში მობილიზებას მოახდენს.

– ნუთუ ამას ვერ აცნობიერებენ?

– ვინ, მდინარაძე თუ კობახიძე გააცნობიერებს ამას?! ბიძინა ივანიშვილი აღარ ჩანს. გიორგი გახარია აღარ არის, ვისაც ხალხმა ხმა მისცა 2012 წელს და 2020 წელს. კი ცდილობენ ყველას ნაციონალებად მონათვლასა და ერთ ქვაბში მოხარშვას, მაგრამ უკვე აღარავინ იფიქრებს ხაბეიშვილზე, ხალხი იმაზე იფიქრებს, როგორმე ქვეყანა ჩინელებმა არ წალეკონ. ადამიანები თავიანთ შვილებს სკოლაში ვეღარ უშვებენ სიდუხჭირის გამო, ამათ კი მილიონები იშოვეს, ხალხი ამაზე ფიქრობს.

გიორგი რუხაძე: „ამერიკულმა მხარემ ოფიციალურ თბილისს უთხრა, რომ მასკარადი დამთავრებულია, ყველამ იცის, ვინ ვინ არის“

– ძალიან კარგი იქნება, თუ „ქართული ოცნების“ ლიდერები დროზე დაინახავენ და გაითავისებენ იმას, რომ შემდეგი „ქვა თავში მაგათ მოხვდებათ“, რადგან სანქციების კასკადი ასე იწყება და მერე ძალიან სწრაფად ვითარდება, – ამის შესახებ „სტრატეგიული ანალიზის ცენტრის“ დამფუძნებელმა გიორგი რუხაძემ განაცხადა.

გიორგი რუხაძის განცხადებით, ოთარ ფარცხალაძე ყველაფერს ბიძინა ივანიშვილისა და „ოცნების“ ლიდერების ნებართვით აკეთებს.

– მე ვერავინ დამარწმუნებს, რომ ფარცხალაძე იმას აკეთებდა, რასაც აკეთებდა, ივანიშვილისა და „ოცნების“ ლიდერების ნების საწინააღმდეგოდ. მათი ნებართვით აკეთებდა ამ ყველაფერს. ეს ყველაფერი, რაც ხდება, ჯერ ერთი, უდიდესი სირცხვილია ქვეყნის, მაგრამ მეორე მხრივ, საზოგადოებამ უნდა დაინახოს და გაითავისოს, რომ როდესაც ყოფილ მთავარ პროკურორს, ივანიშვილის მარჯვენა ხელს ასანქცირებენ რუსული ინტერესების, „კაგებეს“ ინტერესების გატარებისთვის საქართველოში, ამით ყველაფერი ნათქვამია. საერთოდ, როგორ მართავენ ამ ქვეყანას? რა მორალური ან სხვა უფლებით არიან ისინი დღეს ხელისუფლებაში, უბრალოდ არ მესმის, – განაცხადა გიორგი რუხაძემ.

გიორგი რუხაძის თქმით, ამერიკული მხარე აღნიშნული გადაწყვეტილებით ამბობს, რომ „ქართული ოცნება“ რუსული ინტერესების გამტარებელია.

– ამერიკულმა მხარემ ოფიციალურ თბილისს ამით უთხრა, რომ მასკარადი დამთავრებულია, ყველამ იცის, ვინ ვინ არის და ვინ ვის ინტერესს წარმოადგენს. ჩვენ როდესაც ვლაპარაკობთ, არის თუა რა ეს რუსული ხელისუფლება, არის თუ არა რუსული ინტერესების მატარებელი და მერე დისკუსიებში შევდივართ, რომ აბა, სადაა დამადასტურებელი, აგერ ბატონო დამადასტურებელი, ამაზე მეტი დამადასტურებელი რა შეიძლება იყოს? – განაცხადა გიორგი რუხაძემ.

როგორც გიორგი რუხაძემ გადაცემა „თავისუფალ სტუდიაში“ აღნიშნა, „ქართული ოცნების“ ლიდერები სავარაუდოდ, ამერიკული მხარისგან მტკიცებულებებს მოითხოვენ.

– შეიძლება თაგვებივით გაისუსონ და თქვან, რომ ფარცხალაძე ვიღაც კერძო პირია და ჩვენ რა ვიცით საერთოდ, ვინ არის და რას აკეთებს და არ არის გამორიცხული, რომ ილაპარაკონ, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს არ აქვს მტკიცებულებები და წარმოადგინონ ფარცხალაძეზე, როგორც მოსამართლეებზე ილაპარაკეს.

ეს ხალხი საერთოდ გასულია მომსახურების ზონიდან და არ ვიცი, რა განცხადებას გააკეთებენ, მაგრამ არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს. აშშ-მ ყოფილი პროკურორი დაასანქცირა „კაგებესთან“ თანამშრომლობისთვის და ეს კაცი ბიძინა ივანიშვილის მარჯვენა ხელია. რაც არ უნდა თქვან, რა აზრი აქვს? – განაცხადა გიორგი რუხაძემ.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ამერიკამ ოთარ ფარცხალაძე დაასანქცირა!

დინარეობდა სანქცირებასთან დაკავშირებული სამართალწარმოება და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება ხდებოდა სხვადასხვა პირებისა და უწყებების მხრიდან. მათ შორის ნაციონალური მოძრაობის საგარეო მიმართულების ჯგუფის წარმომადგენლები ბოლო თვეების განმავლობაში აქტიურად მუშაობდნენ საერთაშორისო ინსტიტუციებთან, რომ სანქცირების პოლიტიკა ხელშესახები გახდეს და მოხდეს ივანიშვილის რუსული-ოლიგარქიული რეჟიმის მხილება, რომელიც პირდაპირ მოქმედებს საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ, – განაცხადა ლევან ბეჟაშვილმა.

• • •

„დროას“ ლიდერის, ელენე ხოშტარიას განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოს ყოფილი მთავარი პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის დასანქცირება პიროვნულ სანქციას ცდება და მთლიანად „ქართული ოცნების“ მხილებაა.

როგორც ხოშტარიამ ბრიფინგზე განაცხადა, აღნიშნული სანქციები სერიოზული გაფრთხილებაა ყველა იმ ადამიანისთვის, რომლებიც ძირს უთხრიან საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და ხელს უწყობენ რუსეთს.

– ეს სანქციები სცდება მხოლოდ ფარცხალაძის პიროვნებას, რომელიც თავისთავად არის ივანიშვილის ერთ-ერთი გამოჩენილი კრიმინალი, მაფიოზი, მფარველი, რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეობის ერთდროულად მქონე. ეს სანქციები არის მთლიანად „ქართული ოცნების“ მხილება საქართველოში ანტიდასავლური და პრორუსული სპეცოპერაციის ჩატარებისთვის. ეს არის ძალიან სერიოზული გაფრთხილება ყველა იმ ადამიანისთვის, რომლებიც ძირს უთხრიან საქართველოს ეროვნულ ინტერესებს; რომლებიც ხელს უწყობენ რუსეთს ამ სისხლიან ომში და რომლებიც არიან ბიძინა ივანიშვილის უშუალო მფარველობის ქვეშ, – განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

სამართალი

პროკურატურამ ბათუმში ყაჩაღობისა და პოლიციელზე თავდასხმის ფაქტებზე ერთ პირს ბრალი წარუდგინა

პროკურატურამ ყაჩაღობისა და პოლიციელზე თავდასხმის ფაქტებზე ერთ პირს ბრალი წარუდგინა.

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 13 სექტემბერს, ბათუმში, ბრალდებული ხმოვანი პისტოლეტის გამოყენებით, ერთ-ერთი სუპერმარკეტის მოლარე-ოპერატორსა და დაცვის თანამშრომელს თავს დაესხა და სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით 2.000 ლარის გატაცება სცადა.

– ბრალდებული შემთხვევის ადგილზე მისულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების კანონიერ მოთხოვნას არ დაემორჩილა, ერთ-ერთ თანამშრომელს ხმოვანი პისტოლეტი მხრის არეში ჩაარტყა და გაქცევა სცადა, რა დროსაც პოლიციელების მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლა. პოლიციელებმა ბრალდებული შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

დაკავებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით (ყაჩაღობა) და 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (პოლიციელზე თავდასხმა) წარედგინა.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მოთხოვნით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება, – ნათქვამია ინფორმაციაში.

„ქუთაისის №2 დაწესებულებიდან დაახლოებით 20-მდე პატიმარი კლინიკა „ვივამედში“ სამკურნალოდ გადაიყვანეს“

ადვოკატ ლედი ტუკვაძის განცხადებით, ქუთაისის №2 დაწესებულებიდან დაახლოებით 20-მდე პატიმარი კლინიკა „ვივამედში“ სამკურნალოდ გადაიყვანეს

ადვოკატ ლედი ტუკვაძის განცხადებით, ქუთაისის №2 დაწესებულებიდან დაახლოებით 20-მდე პატიმარი კლინიკა „ვივამედში“ სამკურნალოდ გადაიყვანეს. ამის შესახებ ლედი ტუკვაძემ „ინტერ-პრესნიუსს“ განუცხადა,

– ისინი, სავარაუდოდ, ის პატიმრები არიან, რომლებსაც ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდათ. მათი პროტესტიც ჯანმრთელობის მდგომარეობას, არასათანადო კვებასა და არასათანადო სამედიცინო დახმარებას უკავშირდება. სხვისი ინფორმაციით ვიცი, რომ თვითდაზიანების ფაქტებიც იყო. ძალიან მნიშვნელოვანია, გაირკვეს ვისი ბრალეულობით დაიწყო ამდენმა პატიმარმა პროტესტი. უნდა დადგინდეს, საქმე გვაქვს სისტემურ დანაშაულთან, თუ ციხის ახლანდელი დირექტორის, გოჩა კანდელაკის არასწორ მენეჯმენტთან. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აუცილებლად უნდა გაირკვეს და საზოგადოება ამასთან დაკავშირებით ინფორმირებული იყოს. ვიცი, რომ ხუთ საკანში დაიწყო ეს პროტესტი, – განაცხადა ადვოკატმა.

ლედი ტუკვაძის თქმით, თუ ციხეში პირობები არ გამოსწორდება, ალბათ, პატიმრების მხრიდან შესაბამისი პროტესტი იქნება.

– ყველაზე მძიმე მდგომარეობაში არიან ფსიქიკურად დაავადებული პატიმრები. 7-6 თვე ელოდებიან, რომ პატიმრებს ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდეთ, – განაცხადა ადვოკატმა ლედი ტუკვაძემ. ის მოითხოვს, რომ საკითხით ომბუდსმენი დაინტერესდეს.

– სახალხო დამცველი აუცილებლად უნდა დაინტერესდეს ამ თემით. ველოდები სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შეფასებას ამ საკითხთან დაკავშირებით. ალბათ, გამოძიება დაიწყება, – განაცხადა ადვოკატმა.

2023, 15 სექტემბერი, №182

ოკუპირებულ აფხაზეთში საზოგადოება ინალ არძინბას უპირისპირდება

მარიამ მჭედლიშვილი



საქართველოს ოკუპირებულ რეგიონში – აფხაზეთში საზოგადოება დე ფაქტო საგარეო მინისტრს, ინალ არძინბას უპირისპირდება. არძინბას გარშემო ცოტა ხნის წინ ატეხილი აურზაური არ დამთავრებულა.

ბოლო ხანს არძინბამ რუსეთის ინტერესების გატარებისას ღრმად შეტოპა და აფხაზების რისხვა დაიმსახურა. ცნობილია, რომ აფხაზეთში დაბადებული ინალ არძინბა კარგა ხანს კრემლში, ბოლოს კი რუსეთის საპატრიარქოში საქმიანობდა და მოსკოვმა ის მშობლიურ კუთხეში გარკვეული დავალებებით მოავლინა. რუსები მას „პრეზიდენტად" ვერ დასვამდნენ, ვინაიდან საპრეზიდენტო ასაკს არ შეესაბამებოდა.

არძინბას ე. წ. საგარეო მინისტრის როლი არგუნეს. არძინბა მაქსიმალურად ცდილობდა კრემლის ინსტრუქციების შესრულებას. აფხაზეთის რუსეთის ფედერაციასთან შეერთებაზე განცხადების გაკეთება ვერ გაბედა, მაგრამ თამამად ნერგავდა და ნერგავს რუსეთ-ბელარუსის კავშირში აფხაზეთის შესვლის საკითხს. აფხაზეთის საზოგადოებაში ამ იდეამაც უკმაყოფილება გამოიწვია.

ოკუპირებულ აფხაზეთში კვლავინდებურად აქტუალურია აფხაზეთის მიწისა და უძრავი ქონების უცხოელებისგან დაცვის საკითხი. გააქტიურდნენ რუსეთის ინტერესების გამტარებლები. დე ფაქტო პრეზიდენტი ბჟანია ცდილობს, დააკმაყოფილოს რუსეთის მთავრობისა და რუსი ინვესტორების მოთხოვნები. თუმცა, მისი ძალისხმევა დიდი შედეგის მომტანი არ არის: აფხაზეთის პარლამენტმა ვერ გაბედა ბიჭვინთის აგარაკის რუსეთისთვის გადაცემის ე.წ. შეთანმების რატიფიკაცია. ვერ მოხერხდა „აპარტამენტების შესახებ კანონის" მიღება და სხვა.

საქმეში „ძძიმე არტილერია" – არძინბა უფრო აქტიურად ჩაერთო. ცოტა ხნის წინ არძინბამ მოიარა აფხაზეთის რაიონები, შეხვდა მოსახლეობას და რუსეთის მოკავშირეობასა და სასიცოცხლო მნიშვნელობაზე ილაპარაკა. მაშინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არძინბა თანამდებობიდან მიდის. მოგვიანებით ეს ცნობა გაბათილდა.

რამ გამოიწვია ეს დავიდარაბა? ყველა დეტალი ცნობილი არ არის. აშკარაა, რომ საზოგადოება არძინბას რაღაცაში არ დაეთანხმა. არძინბას გარშემო ატეხილი აურზაური არ დასრულებულა. ამაზე მეტყველებს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოსვლა არძინბას წინააღმდეგ.

„აფხაზეთში თვალს ვადევნებთ ქსენოფობიას"

• • •

რა იწვევს საზოგადოების პროტესტს?

გულრიფშში არძინბამ განაცხადა:

– დიპლომატია, ეს არის გზა ორმხრივი მოძრაობით. უნდა იქნას დაცული ინტერესთა ბალანსი და დიპლომატიის ურთიერთქმედების ფუნდამენტური პრინციპი. რუსეთი ჩვენი პოლიტიკის ბირთვია. თუ დავკარგავთ ურთიერთობებს რუსეთთან, დავკარგავთ ჩვენს მთავარ მოკავშირეს.

მან ხელიდან გაშვებული შესაძლელობა უწოდა იმ გარემოებას, რომ ვერ შეიქმნა სრულყოფილი აფხაზეთისა და რუსეთის გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფება.

არძინბას აქტივობებს ახლაც ეხმაურებიან. პარტია „ხალხის ერთიანობის ფორუმის" თავმჯდომარე ასლან ბარციცი არძინბას მოქმედებებს მანიპულაციად და სპეკულაციად აფასებს:

– მეთოდი, რომელსაც საგარეო საქმეთა ახალგაზრდა მინისტრი იყენებს, არის დაშინება და მტრის ხატის შექმნა აფხაზეთის შიგნით. ამ მეთოდის გამოყენებას შეეცადნენ „ბიჭვინთის" სახელმწიფო აგარაკის საკითხის განხილვისას. აფხაზეთში არ არსებობს არცერთი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც რუსეთის საწინააღმდეგოდაა განწყობილი. არძინბას განცხადებები გაუგებარია. ეს არის მანიპულაციისა და სპეკულაციის მეთოდი. ბჟანიაც იმეორებს, ვინ უნდა დაგვიცვას, თუ რუსეთის მიმართ ლოიალურად არ განვეწყობითო.

ოპოზიციონერ ბარციცს მიაჩნია, რომ არძინბას სიარული აფხაზეთის სხვადასხვა რაიონში მიზნად ისახავს ხსენებული პოლიტიკის გატარებას.

– იმის მაგივრად, რომ განახორციელონ რეფორმები, მოახდინონ ადგილობრივი მოსახლეობის პოტენციალის რეალიზება, მუდმივად აკეთებენ აქცენტს იმაზე, რომ ჩვენ არაფერი შეგვიძლია, ხალხი გარედან უნდა მოვიწვიოთ და მათ ყველაფერი მივცეთ და დავურიგოთ. ასეთი დღის წესრიგი აქვთ, – ამბობს ბჟანია-არძინბას ოპონენტი.

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ჩვენი დედაქალაქის" თავმჯდომარის, ლაშა შამბას სიტყვებით, აფხაზეთში რუსეთს არავინ უპირისპირდება და ინალ არძინბას თავისი გაუგებარი განცხადებებით შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. მისი შეფასებით, არძინბა ამას აკეთებს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის. მისი მიზანია, გაიტანოს „უცხოელი ოლიგარქებისთვის" სასურველი კანონპროექტები.

ინალ არძინბა ამ დღეებში ფეიკების გავრცელების ორგანიზებაშიც ამხილეს. საქმე ეხება აფხაზეთის სახალხო მოძრაობის ლიდერის, ადგურ არძინბას (ინალ არძინბას მოგვარის) წინააღმდეგ გავრცელებულ ცნობებს იმის შესახებ, თითქოს მან (როცა ეკონომიკის მინისტრი იყო) რუსეთიდან გამოყოფილი ფინანსური დახმარებიდან თანხა მიითვისა.

• • •

ოკუპანტები ოკუპირებული აფხაზეთის მიმართ ინტერესს ამჟღავნებენ და ქსენობოფიაზე ლაპარაკობენ

აფხაზეთი საქართველოს ნაწილია, რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიაა და იქ მიმდინარე თუ გაფორმებული ქონებრივი შეთანხმებები ლეგიტიმურად არ ითვლება.

ოკუპანტი სახელმწიფოს მთავრობისა და ბიზნესის მისწრაფებებიც ცნობილია. „ბიჭვინთის" აგარაკის გადაცემისა და აპარტამენტების უზომო რაოდენობით მშენებლობის გარდა, რუსებს ისევ აშლილი აქვთ აფხაზეთში უძრავი ქონების შესყიდვის საღერღელი.

სიტუაციას განმარტავს ექსპერტი კირილ ბაზილევსკი:

– რუსი მეწარმეები აფხაზეთში აწყდებიან პრობლემებს უძრავი ქონების ან მიწის ნაკვეთების შესყიდვისას, ვინაიდან მიწა კი არ იყიდება, იჯარით გაიცემა. მშენებლობის შემდეგ ის რჩება კომპანიის საკუთრებაში.

2016 წელს იყო მეორადი საცხოვრებლის გაყიდვის ლეგალიზების მცდელობა. საკითხი გადაიდო იმ დროისათვის, როცა მოხდება უძრავი ქონების კადასტრი და საბინაო სფეროში გატარდება რეფორმა. რეალური ამოცანების გადაჭრის მაგივრად ჩვენ თვალს ვადევნებთ დემაგოგიასა და ქსენოფობიას.

რუსების პრეტენზიები ასეთია. როგორც ჩანს, ინალ არძინბა ბოლო დროს ოკუპანტების ამ პრეტენზიებს ახმოვანებს.

სამართალი

მეგის ქარდავას თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი 60.000 ლარის გაფლანგვა ბრალად ედება

თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვის საქმეზე სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის ყოფილ მოადგილეს მეგის ქარდავას თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

პროკურატურის ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი 60.000 ლარის გაფლანგვაში ბრალდებული მ. ქ. დამნაშავედ ცნო.

– სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2011 წლის სექტემბერში, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის მიმართ გამოგონილ ე.წ „ჯაშუშობის" საქმეზე მიმდინარე გამოძიებისას, თავდაცვის სამინისტროს ბუღალტერიიდან, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის იმჟამინდელმა მოადგილე მ.ქ.-მ სხვადასხვა დროს 60.000 ლარი გაიტანა.

ხსენებული თანხების მისაღებად ხელოვნური საფუძვლის შესაქმნელად, 2011 წლის სექტემბერში საქართველოს თავდაცვის იმჟამინდელი მინისტრისა და მისი მოადგილის დახმარებით, ყალბი დოკუმენტები შეიქმნა, რომლის თანახმადაც, სამინისტროდან გაცემული თანხები, თითქოსდა, ე.წ „ჯაშუშობის" სისხლის სამართლის საქმეზე განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისთვის გამოიყენებოდა.

სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 60.000 ლარი, რომელიც მ.ქ.-ს მართლზომიერ განკარგულებაში იმყოფებოდა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ გამოყენებულა და ამ უკანასკნელის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ გაიფლანგა.

მ.ქ.-ს ბრალად ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც გულისხმობს სხვისი დიდი ოდენობით ნივთის ან ქონების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვას, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

სასამართლომ მ.ქ.-ს 8 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის გამოყენებით, მსჯავრდებულს შეუმცირდა დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით განესაზღვრა, მასვე ჩამოერთვა საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება 6 თვის ვადით.

აღსანიშნავია, რომ მ.ქ. არაერთი წლის განმავლობაში იმყოფებოდა მიმალვაში და მასზე ინტერპოლის წითელი ცირკულარით გამოცხადებული იყო ძებნა. საბოლოოდ, 2021 წლის 17 სექტემბერს, საქართველოს გენერალური პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოში მსჯავრდებულის ექსტრადირება განხორციელდა.

მ.ქ.-ს მიმართ საქართველოში არსებული 11 სისხლის სამართლის საქმიდან 6-ზე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 5 სისხლის სამართლის საქმე იხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში", – ნათქვამია განცხადებაში.

ჩიტაიას ქუჩაზე სუპერმარკეტი გატეხეს

თბილისში, ჩიტაიას ქუჩაზე სუპერმარკეტი გატეხეს. დილით ადგილზე მისულ თანამშრომლებს მაღაზია ღია დახვდათ. საქმეში, სავარაუდოდ, არასრულწლოვნები ფიგურირებენ.

რა გადაწყვეტილება გამოიტანა სასამართლომ ლავროვის სიძის ქორწილის პროტესტისთვის დაკავებულ პირებზე

ლავროვის სიძის ქორწილის პროტესტისათვის დაკავებული პირების ნაწილი სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო.

გადაწყვეტილება გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, იოსებ აბრამიძემ ცოტა ხნის წინ გამოაცხადა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, დაკავებული აქტივისტებიდან სამართალდამრღვევად ჩაითავალა სამი პირი.

იოსებ აბრამიძემ აქტივისტები ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა და მათ მიმართ, სიტყვიერი შენიშვნა გამოიყენა.

მოსამართლემ სამართალდამრღვევად არ ცნო ათი პირი და მათ მიმართ ადმინისტრაციული წარმოება სამართალდარღვევის არარსებობის გამო შეწყვიტა.

რაც შეეხება მეთოთხმეტე დაკავებულს, თბილისის საკრებულოს წევრ, ირაკლი ეძგვერაძეს, გადაწყვეტილება მისი საქმის თაობაზე, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ხვალ გამოცხადდება.

სასამართლო სხდომაზე, გადაწყვეტილების გამოცხადების პროცესს, მხარეები არ ესწრებოდნენ.

ეძგვერაძის საქმე სააპელაციო წესით იყო გასაჩივრებული.

შეგახსენებთ, 20 მაისს ყვარლის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე დაკავებულ პირებს შინაგან საქმეთა სამინისტრო პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას და წვრილმან ხულიგნობას ედავებოდა.

ვინ არის 50 წლის კაცი, რომელიც დედას მოკვლით ემუქრებოდა და ბინებს სძალავდა



შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახმეტის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 50 წლის, წარსულში ნასამართლევი ა.ყ. ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი გამოძალვისა და მუქარის ბრალდებით დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული დედას – 1952 წელს დაბადებულ მ.ყ.-ს, თბილისსა და ახმეტაში მის საკუთრებაში არსებული 170 ათასი ლარის ღირებულების საცხოვრებელი სახლების თავის სახელზე გადაფორმებას სთხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯანმრთელობის დაზიანებითა და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა.

პოლიციამ, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულში ბრალდებული ა.ყ. ცხელ კვალზე დააკავა.

გამოძიება ოჯახის წევრის მიმართ დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით გამოძალვისა და მუქარის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით და 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს. დანაშაულები 7-წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიები პირველი ოქტომბრის შუალედურ/რიგგარეშე არჩევნებზე

პირველ ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის შუალედური და მერის რიგგარეშე არჩევნები გაიმართება - რა სიახლეები დახვდება საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველს, რა იცვლება ამომრჩევლისთვის და რა ეტაპზეა საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა - ამ და სხვა მნიშვნელოვან კითხვებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **გიორგი კალანდარიშვილი** პასუხობს.

ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით წელს უკვე მეორე არჩევნები ჩატარდება, სად და ვის ირჩევენ ამომრჩევლები?

პირველ ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის შუალედური და მერის რიგგარეშე არჩევნები გაიმართება. ამომრჩევლები პირველ ოქტომბერს აირჩევენ საქართველოს პარლამენტის გორი-კასპის მაჟორიტარ დეპუტატს, გურჯაანში კი ჩატარდება მერის რიგგარეშე არჩევნები.

ეს არჩევნები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რადგან, გარდა იმისა, რომ ამომრჩევლები შეძლებენ აირჩიონ თავიანთი წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში თუ თვითმმართველობის ორგანოში, ამას გააკეთებენ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. როგორც გაზაფხულზე ჩატარებული არჩევნებისას, ახლაც საარჩევნო ადმინისტრაცია ელექტრონულ ტექნოლოგიებს ფართო მასშტაბით გამოიყენებს. რატომ არის ეს მნიშვნელოვანი - უკვე განსაზღვრულია, რომ

2024 წელს პარლამენტის არჩევნებზე საარჩევნო უბნებზე მისულ ამომრჩეველთა 90% ხმის მიცემას ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით შეძლებს

და ეს საქართველოში არჩევნებზე ტექნოლოგიების ყველაზე ფართომასშტაბიანი გამოყენების პირველი პრეცედენტი იქნება. შესაბამისად, ტექნოლოგიების კარგად შესწავლა, გამოცდა მნიშვნელოვანია და სწორედ ამის საშუალება მოგვცა 29 აპრილს ჩატარებულმა არჩევნებმა, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენდა ერთგვარ „გენერალურ რეპეტიციას. სწორედ ამ არჩევნებზე დიდი მასშტაბით გამოვცადეთ ტექნოლოგიები. პრაქტიკაში ვნახეთ, შედარებით ფართო მასშტაბის პირობებში, როგორ იმუშავა ტექნოლოგიებმა და რა იყო მისი დადებითი მხარეები. ასევე, ყველა ადგილობრივი ორგანიზაციის ანგარიში შესწავლილია, იდენტიფიცირებულია გამოწვევები და საჭიროებები. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ უკვე 7 არჩევნებზე გამოიყენა სხვადასხვა მასშტაბით ელექტრონული ტექნოლოგიები, რომელსაც 2018 წლიდან ტესტავს და ატარებს პილოტებს. აღნიშნულმა პილოტებმა, ასევე არჩევნებზე დაკვირვების მიზნით სხვა ქვეყნებში ვიზიტებმა და მათი გამოცდილების გაზიარებამ, მნიშვნელოვანი გამოცდილება შეგვძინა. პირველ ოქტომბერს არჩევნებით დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, ასევე პრაქტიკაში კიდევ ერთხელ ვნახავთ იქნება თუ არა ისეთი საკითხები, რომელსაც ჩვენი მხრიდან კვლავ გარკვეული ყურადღების მიქცევა დასჭირდება იმისთვის, რომ 2024 წელს გასამართ არჩევნებს კიდევ უფრო მეტად მომზადებულები შევხვდეთ.

კონკრეტულად როგორ ჩატარდება პირველ ოქტომბერს არჩევნები? უფრო დეტალურად ავუხსნათ მკითხველს, რას გულისხმობს ეს ტექნოლოგია. მაგალითად, აუცილებელია თუ არა საარჩევნო უბანზე მისვლა, თუ ხმის მიცემა დისტანციურად იქნება შესაძლებელი?

1 ოქტომბერს ამომრჩეველთა 85.3%-ს ექნება შესაძლებლობა, თავად ნახოს, თუ როგორ მუშაობს ელექტრონული საარჩევნო ტექნოლოგიები. არჩევნებისთვის 133 საარჩევნო უბანი გაიხსნება.

ცესკოს გადაწყვეტილებით, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის და ხმის დათვლის აპარატების გამოყენებით კენჭისყრა 103 საარჩევნო უბანზე ჩატარდება.

თავიდანვე აღვნიშნავ, რომ ამ ახალი ტექნოლოგიების დანერგვა არ ნიშნავს იმას რომ ხმის მიცემა სახლიდან, საკუთარი მოწყობილობიდან იქნება შესაძლებელი. ამომრჩეველი არჩევანის გასაკეთებლად აუცილებლად უნდა მივიდეს საარჩევნო უბანზე, ან შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მოითხოვოს გადასატანი ყუთი. ჩვენ გამოვიყენებთ ორი ტიპის ტექნოლოგიას, მათ შორის, როგორც ამომრჩეველთა რეგისტრაცია/ვერიფიკაციის აპარატებს, ისე ხმის დათვლის აპარატებს. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ არცერთ შემთხვევაში, აპარატები არ იქნება ქსელში ანუ ინტერნეტში ჩართული, რაც, რა თქმა უნდა, გამორიცხავს კიბერჩარევის საფრთხეს. საარჩევნო უბანზე მისული ამომრჩევლის მონაცემებს რეგისტრატორი ელექტრონული ვერიფიკაციის აპარატით გადაამოწმებს. აღსანიშნავია, რომ ვერიფიკაციის აპარატში მხოლოდ იმ კონკრეტული საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სია იქნება ჩატვირთული. ვერიფიკაციის აპარატი იძლევა ორმაგი დადასტურების შესაძლებლობას. კერძოდ, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის აპარატზე გატარების/შემოწმების შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება დოკუმენტის მფლობელის ფოტოსურათი, რის საფუძველზეც დადასტურდება მისი ვინაობა. ამოიბეჭდება შესაბამისი ქვითარი, რომელზეც ამომრჩეველი მოაწერს ხელს.

განსხვავებული იქნება საარჩევნო ბიულეტენიც - ამ შემთხვევაში ამომრჩეველმა კი არ უნდა შემოხაზოს სასურველი კანდიდატის ნომერი, არამედ უნდა გააფერადოს კანდიდატის სახელის წინ არსებული წრე. ამასთან, ბიულეტენს აქვს დამატებითი დაცვის შესაძლებლობებიც - ინდივიდუალური QR კოდი და შტრიხკოდი, რაც გამორიცხავს იმას, რომ სხვა უბნის ბიულეტენი ან იგივე ბიულეტენი განმეორებით მოხვდეს ყუთში.

რა თქმა უნდა, დაცულია ხმის მიცემის ფარულობა - მას შემდეგ რაც ფარული კენჭისყრის კაბინაში გააფერადებს სასურველი კანდიდატის წინ არსებულ წრეს, ამომრჩეველმა ბიულეტენი უნდა ამოაბრუნოს და სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენებით მოათავსოს ხმის მთვლელ აპარატში. სწორედ ეს აპარატი ავტომატურ რეჟიმში დაითვლის ხმებს და კენჭისყრის დასრულების შემდეგ, სავალდებულო პროცედურების განხორციელებისთანავე დაბეჭდავს კენჭისყრის წინასწარი შედეგების შესახებ ამონაწერს.

ბიულეტენები ასევე გადაითვლება ხელით და სწორედ ამის შემდეგ შედგება შემაჯამებელი ოქმი.

რაც შეეხება იმ ამომრჩევლებს, რომლებიც ამ 85%-ში ვერ მოხვდნენ, როგორ მიიღებენ ისინი არჩევნებში მონაწილეობას?

მინდა განვმარტო, რომ ძველი წესით არჩევნები ჩატარდება ისეთ უბნებზე, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 300-ზე ნაკლებია და 20 კილომეტრზე მეტით არის დაშორებული საოლქო საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილიდან. აგრეთვე, ისეთ უბნებზე, რომლებიც გამონაკლის შემთხვევებში შეიქმნება ან განთავსებული იქნება ძნელად მისადგომ ადგილას.

ის, რომ არჩევნები ამ უბნებზე ტრადიციული მეთოდით ტარდება, არ ნიშნავს რომ რამე ძალისხმევას დავაკლებთ. ამ უბნებზე კენჭისყრა აუცილებლად სათანადო, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაიმართება. მით უფრო იმ ფონზე, რომ გარკვეულწილად ეს უბნებიც მოდერნიზებული იქნება და დამატებით გამჭვირვალობის ზრდის მიზნით განხორციელდება ბიულეტენების გაციფრულება და გასაჯაროება.

რა უპირატესობა აქვს არჩევნებში ტექნოლოგიების დანერგვას? საინტერესოა, შემცირდება თუ არა ხმების დათვლისა და შედეგების გასაჯაროების დრო?

უკვე წლებია საარჩევნო ადმინისტრაცია საპილოტე რეჟიმში იყენებს ელექტრონულ საარჩევნო ტექნოლოგიებს და სწავლობს დანერგვის შესაძლებლობებს. ამასთან, სისტემატურად ვეცნობით ამ მიმართულებით სხვა ქვეყნების გამოცდილებას. სწორედ საარჩევნო ტექნოლოგიების პილოტირებამ და მიღებულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ საარჩევნო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს პროცედურების სიმარტივეს და გარკვეულწილად აზღვევს ადამიანურ შეცდომებს. ამომრჩევლისთვის ხმის მიცემის პროცესი უფრო კომფორტულია; მცირდება ხმის მიცემის და საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის დაყოვნების დრო; ხმის მთვლელი აპარატები საშუალებას იძლევა ოპერატიულად დამუშავდეს მონაცემები, შესაბამისად უზრუნველყოფილია საზოგადოების დროული ინფორმირება.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ როგორც მოდერნიზებული, ისე ტრადიციული უბნების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება გამჭვირვალობა, რაც გამოიხატება ბიულეტენების ხელით გადათვლით. კერძოდ, აპარატის მიერ ბიულეტენების დათვლისა და წინასწარი მონაცემების ამობეჭდვის შემდგომ, პროცესში კვლავ განსაზღვრულია ხელით გადათვლა, რის შემდგომაც შედგება იურიდიული ძალის მქონე შემაჯამებელი ოქმი. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ წინასწარი მონაცემების გამოსაქვეყნებლად ჩვენ არ ველოდებით ხელით გადათვლის შედეგებს. ხმის მთვლელი აპარატი ავტომატურ რეჟიმში ითვლის ხმებს და კენჭისყრის დასრულების შემდეგ, სავალდებულო პროცედურების განხორციელებისთანავე, აპარატებიდან ამოიბეჭდება შედეგების ამსახველი ამონაწერები (ქვითრები), რომლებიც უმოკლეს ვადებში გადაიგზავნება ცესკოში და ასევე ძალიან მოკლე დროში გასაჯაროვდება.

ახალი მიდგომა და გადაწყვეტა გვაქვს იმის თაობაზეც, თუ

როგორ უნდა მოხდეს საარჩევნო უბანზე ამობეჭდილი წინასწარი მონაცემების გადმოგზავნა საარჩევნო კომისიაში როგორც მოდერნიზებული, ასევე ტრადიციული უბნებიდან. ამისათვის გამოყენებული იქნება პლანშეტები, რაც შემაჯამებელი ოქმების დასურათების, მონაცემების სკანირებისა და ცენტრალურ სერვერზე მყისიერად გადმოგზავნის საშუალებას იძლევა, რაც პირველად და წარმატებით გაიტესტა 29 აპრილის არჩევნებზე.

ელექტრონული აპარატის გამოყენებით ხმის მიცემისას როგორ იქნება დაცული ხმის ფარულობა?

ფარულობა - ეს არის არჩევნების ფუნდამენტური პრინციპი და, რა თქმა უნდა უზრუნველყოფილი და დაცული იქნება. ამომრჩეველმა ბიულეტენი სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენებით, ამობრუნებული ფორმით უნდა მოათავსოს ხმის მთვლელ აპარატში. შესაბამისად, შეუძლებელია, უბანზე ვინმემ შეძლოს იდენტიფიცირება, თუ ვის მისცა ამომრჩეველმა ხმა.

ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვით რა იცვლება უშუალოდ ამომრჩევლისთვის? ელექტრონულ არჩევნებში მონაწილეობის მიღება მხოლოდ ID ბარათისა და პასპორტის მქონე პირებს შეუძლიათ, თუ შესაძლებელია ლამინირებული მოწმობის გამოყენება?

ვერიფიკაციის აპარატი უზრუნველყოფს უტყუარ დადასტურებას, რომ ამომრჩეველმა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო, რისთვისაც ID ბარათები და პასპორტი გამოიყენება. პირველ ოქტომბერს არჩევნებში ხმის მიცემა ლამინირებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტითაც იქნება შესაძლებელი, რადგან ვერიფიკაციის აპარატებს მონაცემების ხელით შეყვანის ფუნქციაც აქვს, ხოლო 2024 წლის არჩევნებში კი უკვე ამომრჩევლის ვერიფიკაცია მხოლოდ ელექტრონული ID ბარათისა და პასპორტის წარდგენის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი.

შეიძლება თუ არა რომ საარჩევნო უბანზე რომელიმე აპარატი მწყობრიდან გამოდეს? რა ხდება ასეთ შემთხვევაში?

საარჩევნო ადმინისტრაციის გამოცდილებით, ალბათობა იმისა, რომ რომელიმე აპარატი მწყობრიდან გამოვიდეს, მინიმალურია. მაგრამ, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული და დაზღვეულია მსგავსი შემთხვევებიც. მთავარი არის ის, რომ არცერთ შემთხვევაში არ შეწყდება კენჭისყრა. მაგალითად, თუ ვერიფიკაციის ერთი აპარატი მწყობრიდან გამოვა, შემცირდება რეგისტრატორთა რაოდენობა და შესაბამისად მოიხსნება მწყობრიდან გამოსული აპარატი და ვერიფიკაცია გაგრძელდება მეორე აპარატის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ ყველა აპარატი გამოვა მწყობრიდან, საარჩევნო უბანზე დალუქულ მდგომარეობაში იქნება ამომრჩეველთა სამაგიდო სიები და ტრადიციული მეთოდით გაგრძელდება კენჭისყრის პროცესი.

რაც შეეხება ხმის დათვლის აპარატებს, ყველა საარჩევნო უბანზე განთავსებული იქნება არანაკლებ 2 აპარატი, ერთი აპარატის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ჩანაცვლება მოხდება მეორე აპარატით, ხოლო თუ ყველა გამოვა მწყობრიდან, ყუთს მოეხსნება ზემოდან დამაგრებული სკანერის აპარატი და პროცესი ძველი წესით გაგრძელდება (ამომრჩეველი ბიულეტენს ყუთის ჭრილში მოათავსებს).

რამდენად არის საარჩევნო ადმინისტრაცია მზად ტექნოლოგიების გამოყენებით ჩაატაროს პირველი ოქტომბრის არჩევნები და რა გავლენა ექნება მას 2024 წლის არჩევნებზე?

საარჩევნო ადმინისტრაცია, რა თქმა უნდა, მზად არის და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საარჩევნო პროცესი კანონმდებლობის სრული დაცვით, გამჭვირვალედ და მაღალ პროფესიულ დონეზე წარიმართოს. ამასთან, არჩევნების ტექნიკური უზრუნველყოფისთვის საარჩევნო ადმინისტრაციამ უკვე დაგეგმა შესყიდვები და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან თანამშრომლობით, ღია საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე, გამოვლინდა ვენდორი კომპანია. 2023-2024 წლების განმავლობაში, საარჩევნო ელექტრონული აპარატებითა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით საარჩევნო ადმინისტრაციას კომპანია „სმარტმატიკი“ მოემსახურება. უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია „სმარტმატიკს“ სხვადასხვა ქვეყანაში ელექტრონული არჩევნების ჩატარების დიდი გამოცდილება აქვს და შესაბამის ტექნიკას თავადვე აწარმოებს. 2000 წლიდან კომპანია გლობალური ლიდერია საარჩევნო ინდუსტრიაში და 30-ზე მეტ ქვეყანაში აქვს არჩევნების მოდერნიზების გამოცდილება. მათ შორის განხორციელებული აქვს ამ ტიპის პროექტები ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი, აშშ, არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, ალბანეთი, ბულგარეთი, ესტონეთი, ბელგია, ფილიპინები და ა.შ.

არჩევნების მაღალპროფესიულ დონეზე ჩატარების მიზნით, ჩვენთვის, რა თქმა უნდა, პრიორიტეტია ამომრჩეველთა ინფორმირების უზრუნველყოფა, ფართომასშტაბიანი საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიების განხორციელება. უკვე შემუშავებულია სამოქმედო გეგმა, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს ყველა აქტივობას. საგანმანათლებლო პროექტები, წლევანდელი და შემდეგი წლის, მთლიანად მიეძღვნება კენჭისყრაში ელექტრონული საშუალებებით მონაწილეობის საკითხს. გარდა ამისა, დაგეგმილია ამომრჩეველთა ინფორმირების ინოვაციური კამპანიები. შეგახსენებთ ცესკოსა და სწავლების ცენტრის საგანმანათლებლო პროექტებს - მაგალითად „ცესკოს საარჩევნო სკოლა“, „საარჩევნო ბანაკები“, „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“, „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ და ა. შ. ამასთან, ყოველი არჩევნებისთვის ტარდება ინფორმირების კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“, რომლის ფარგლებშიც საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლები ამომრჩევლებს ხვდებიან და აცნობენ საარჩევნო პროცედურებს, გადასცემენ საინფორმაციო ბროშურებს, ეხმარებიან ამომრჩეველთა სიაში საკუთარი მონაცემების გადამოწმებაში. უკვე განხორციელდა და კიდევ დაგეგმილია ელექტრონული ტექნოლოგიების დემონსტრაცია ხალხმრავალ ადგილებში მედიაში გაშუქება საინფორმაციო-სარეკლამო რგოლები. გამოვიყენებთ ყველა შესაძლებლობას, იმისათვის რომ ამომრჩევლამდე ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მივიტანოთ.

ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნე, ეს არჩევნები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან ამ არჩევნებზე ელექტრონული ტექნოლოგიები ფართო მასშტაბით იქნება გამოყენებული და მოგვცემს საშუალებას კიდევ ერთხელ ერთად დავაკვირდეთ და შევისწავლოთ ტექნოლოგიების გამოყენების ყველა თავისებურება. მათ შორის დავაკვირდეთ იმას, ინფორმირების რომელი საშუალება მუშაობს უფრო ეფექტურად, მიღებული გამოცდილება კი გავითვალისწინოთ 2024 წლის არჩევნების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩასატარებლად.

არჩევნების მოდერნიზება ძალიან კომპლექსური საკითხია. ამიტომ ვფიქრობ, რომ ტექნოლოგიების მიმართულებით ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებას და არჩევნების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებას, ახალი რეალობის შესაბამისი საარჩევნო კულტურის დამკვიდრებას, საარჩევნო ადმინისტრაციამ, პოლიტიკურმა გაერთიანებებმა, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა და მედიამ ერთად უნდა შევუწყოთ ხელი, რადგან არჩევნები საერთო საქმეა.

ხმის მიცემის პროცედურები

კენჭისყრა იმართება 08:00-დან 20:00 საათამდე



საარჩევნო უბანზე მისვლისას გაიარეთ მარკირების შემოწმების პროცედურა



ნაკადის მომწესრიგებელს წარუდგინეთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი

რეგისტრატორი თქვენს მონაცემებს ელექტრონული ვერიფიკაციის აპარატით გადაამოწმებს



გაიარეთ მარკირების პროცედურა

ვერიფიკაციის შემდეგ აპარატიდან ამოიბეჭდება ქვითარი, რომელზე ხელის მოწერითაც თქვენ ადასტურებთ არჩევნებში მონაწილეობას. ქვითარი რჩება რეგისტრატორთან



თქვენ გადმოგეცემათ საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური ჩარჩო-კონვერტი

ფარული კენჭისყრის კაბინაში ბიულეტენზე სრულად გააფერადეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი კანდიდატის წინ არსებული წრე



ამოაბრუნეთ ბიულეტენი, მოათავსეთ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში თქვენი არჩევანის ფარულობის უზრუნველსაყოფად

სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენებით ბიულეტენი მოათავსეთ ხმის მთვლელ აპარატში

ხმის დათვლა განხორციელდება ელექტრონული აპარატების გამოყენებით

ხმის მთვლელი აპარატი ავტომატურ რეჟიმში ითვლის ხმებს და კენჭისყრის დასრულების შემდეგ, სავალდებულო პროცედურების განხორციელებისთანავე, ბეჭდავს კენჭისყრის წინასწარი შედეგების შესახებ ამონაწერს

2024 წელს საარჩევნო უბნების მცირე ნაწილში ხმის მიცემა ტრადიციული მეთოდით განხორციელდება, თუმცა ამ უბნების ბიულეტენები დასკანერდება, გაციფრულდება, ინტერნეტ სივრცეში აიტვირთება და იქნება საჯარო.

ხმის მიცემა ფარულია!
კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია!

საქართველოს ტყის ბილიკებს თუ გავუყვებით, გზად უამრავი ხე, ბუჩქი თუ ბალახი შეგვხვდება. ისინი თავისი თვისებებითა და შემცველობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათი უმრავლესობა სამკურნალო თვისებების მატარებელია, რომლებიც ზრუნავენ ჩვენი ჯანმრთელობისათვის.

ჟინჭარი, კერძოდ ორსახლიანი ჟინჭარი, ფართოდ გავრცელებული მრავალწლიანი, კვებითი და სამკურნალო თვისებების მქონე ძვირფასი მცენარეა. აქვს ოთხწახნაგა ღერო. იზრდება თითქმის ყველგან – ტყეებში, გზისპირებზე, ეზოების პირას, ბაღებში.იშვიათად თუ მოიძებნება ადამიანი, ვისაც არ ეგემოს ჯინჭრით დასუსხვის ტკივილები, მცენარე შებუსვილია. ბეწვების გაფართოების ადგილას მწვანე ნივთიერების შემცველი სითხეა, ხოლო წვერი სილიციუმის მარილითაა დაფარული. ბეწვი ჭრის კანს, ჭრილობაში ჩადის და იწვევს წვას. მიუხედავად ამისა, ბევრმა არ იცის, რომ ჯინჭარი ბევრი სიკეთის მომტანია, იგი ფართოდ გამოიყენება კულინარიაში.

მკურნალობის მიზნით გამოიყენებენ მცენარის ფოთლებს, რომელიც შეიცავს K, C ვიტამინებს, აგრეთვე კაროტინსა და ქლოროფილს. გამოიყენება როგორც სისხლდენის საწინააღმდეგო საშუალება. იგი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას. არის ეგზემის, კუჭშეკრულობის საწინააღმდეგო საშუალება. საუკეთესო საშუალებაა თმის ცვენის შესაჩერებლად, ამ მიზნით გამოიყენება ფოთლის, ძმრისა და წყლის ნახარში. ხალხური მეთოდით, ახლადმოჭრილი ჯინჭრით მტკივნეულ ადგილზე დასუსხვით მკურნალობენ რევმატიზმს.

❖ ❖ ❖

კოწახური კოწახურისებრთა ოჯახის წევრია. იგი 3 მეტრამდე სიმაღლის ბუჩქია, ძლიერი ფესვითა და გამერქნებული ფესვურებით.

მოცვი ნაღვლის ბუშტის წამალიცაა

რაჭაში მას კვაწახურს, სამეგრელოში – კორწოხულს, სვანეთში – გვაწრიხს, ხევსურეთში – ესკალძმარას ეძახიან. იზრდება ჭალებში, ნათელ ტყეებში, ბუჩქნარ-ჯაგნარებში. ის მაის-ივნისში ყვავილობს, ყვავილები ყვითელია და სურნელოვანი. აქვს სამად გაყოფილი ეკლები. ნაყოფი წითელი წაგრძელებული კენკრაა, რომელიც აგვისტო-სექტემბერში მწიფდება და მტევნებად ჰკიდია ბუჩქებზე. ნაყოფს ინახავენ ტოტებით დაკიდულს, ან დაკრეფილს. იგი კარგად ინახება მეორე მოსავლამდე.

კოწახური ძველთაგანვე ცნობილია, როგორც სამკურნალო მცენარე. მას ინდოეთსა და ეგვიპტეში „სისხლის გასაწმენდად“ ხმარობდნენ. ნაყოფი 5 პროცენტამდე შაქარსა და 6-7 პროცენტამდე ვაშლის მჟავას შეიცავს, ფოთლები – ასკორბინის მჟავას, ვიტამინ E-ს. გარდა ამისა, ფოთლებშია ალკალოიდები, მათ შორის ბერბერინი, რომელიც სისხლის წნევას დაბლა სწევს, იწვევს საშვილოსნოს შეკუმშვას და აძლიერებს ნაღვლის დენას.

ხალხურ მედიცინაში მას იყენებდნენ როგორც შარდმდენ, კუჭის გასამაგრებელ და მადის აღმძვრელ საშუალებას.

❖ ❖ ❖

მოცვი ტყის ბინადარი, დაბალი 15-40 სმ სიმაღლის ბუჩქია. მას რაჭაში მოდგინარს ეძახიან, სამეგრელოში – მელიშიას, თუშეთში – ჟოლოს, აჭარაში კი მიწამოცვს.

ყვავილობს მაისის მეორე ნახევრიდან ივნისის ჩათვლით. აქვს წვრილი ვარდისფერი ყვავილი. ნაყოფი, რომელიც ივლის-აგვისტოში მწიფდება, მრგვალი, შავი ფერის კენკრაა. უხვად მხოლოდ რამდენიმე წელიწადში ერთხელ მსხმოიარობს. მცირემსხმოიარობა კი თითქმის ყოველ წელიწადს აღენიშნება.

გვხვდება როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში, ძირითადად სუბალპებში, მაგრამ საკმაოდ ხშირად ვხვდებით ალპურ სარტყელშიც, ზღვის დონიდან 3.600 მ სიმაღლემდე. მოცვის ნაყოფი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავას, შაქარს, ვიტამინ ჩ-ს, ვიტამინ X-ს. ფოთოლში ნაპოვნია მთრიმლავი ნივთიერებები, აგრეთვე გლიკოზიდები, რომელთაც ინსულინის მსგავსი მოქმედების თვისება გააჩნიათ.

კენკრას, კარგ გემოსთან ერთად, სამკურნალო-დიეტური მნიშვნელობაც აქვს. იგი კარგია კუჭ-ნაწლავის მწვავე და ქრონიკული დაავადებებისას, დადებითად მოქმედებს გასტრიტის შემთხვევაში.

მოცვი კარგი შემკვრელი საშუალებაა. ახალი კენკრა, საერთოდ, კუჭ-ნაწლავისჩინებული რეგულატორია. მოცვის ექსტრაქტი აუმჯობესებს მხედველობას.

ხალხურ მედიცინაში მოცვს ძველთაგან იყენებენ თირკმელებში კენჭების, ნეკრისის ქარის, რევმატიზმის დროს. სქელად მოხარშულ კენკრას კომპრესად და საფენად იყენებენ ეგზემის და კანის ზოგიერთი დაავადების.

მოცვის ფოთლებიდან საოჯახო პირობებში ამზადებენ ჩაის, რომელსაც სვამენ საშარდე ბუშტის ანთების, ნაღვლის ბუშტში კენჭების არსებობის და სხვა შემთხვევაში.

ნაყოფს იყენებენ კისელის, სიროფის, მურაბის, ლიქიორის დასამზადებლად.

❖ ❖ ❖

ქრისტესბეჭედა ქოლგოსანთა ოჯახის წარმომადგენელია. იგი მრავალწლიანი, ტიპიური ტყის მცენარეა და მხოლოდ ტყეებსა და ტყისპირებში ხარობს, აქვს 30-80 სმ სიმაღლის სწორმდგომი ღერო, ღეროს ძირში შეჯგუფული სამ-ხუთად გაყოფილი ფოთლების ფორმა მომრგვალო გარემოხაზულობისაა და ნაპირებდაკბილულია. ღეროზე განლაგებული ფოთლები დაკნინებულია, ზოგჯერ კი სრულებით უფოთლოა. ყვავის მაის-ივნისში. მრავალრიცხოვანი კაუჭებით დაფარული ნაყოფები ტანსაცმელს და საქონლის ბეწვს ადვილად ედება და ამ გზით შორ მანძილზე ვრცელდება.

ქრისტესბეჭედას ფოთლებს მალამოსა და მონახარშს სველი საფენების სახით ხალხი დუდკოს სამკურნალოდ იყენებს. გამხმარი ფოთლების ფხვნილი კი ჭრილობებზე დასაყრელ სამკურნალო საშუალებად გამოიყენება. ქრისტესბეჭედას ნორჩ ყლორტებს ყვავილიანად გაზაფხულ-ზაფხულზე აგროვებენ. ჭრიან წვრილად და ახმობენ ჩრდილში. ხმელი მცენარისაგან ადვილად მზადდება ფხვნილი. ხალხში იგი პოპულარულია ფილტვებიდან სისხლღებინების დროს. გარდა ამისა, ფოთლები შვეიცარული ჩაის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

საზოგადოება

პრემიების — „საგურამოსა“ და „ილიას მედლის“ — ლაურიატები ცნობილია

12 სექტემბერს, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეს, პრემია „საგურამოსა“ და „ილიას მედლის“ ლაურეატები დასახელდნენ.

2023 წლის ლაურეატები გახდნენ: პოეზიაში – ვაჟა ხორნაული, პროზაში – თამაზ ხმალაძე და ეკატერინე ტოგონიძე, კრიტიკაში – გია ხოფერია, თარგმანში – მედეა ზაალიშვილი, საბავშვო ლიტერატურაში – აკაკი დაუშვილი, ხელოვნებაში – გია ჯაფარიძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებაში – მერაბ ჩუხუა.

ილიას მედალი – „მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა“ – ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის რობერტ გოგოლაშვილს გადაეცემა.

ლაურეატების დაჯილდოების ცერემონიალი 8 ნოემბერს, ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს გაიმართება.

ანსამბლი „გურჯაანი“ საბერძნეთში დაჯილდოვეს

ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „გურჯაანი“ საბერძნეთში ჰალკიდიკის ნახევარკუნძულზე გამართულ ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობდა. ამ ფესტივალში მათთან ერთად მონაწილეობდნენ საბერძნეთის, რუმინეთის, მოლდოვის, სერბეთის, ბულგარეთისა და სხვა ქვეყნების ფოლკლორული ანსამბლები.

ადგილობრივი მაყურებლისა და მსმენელის წინაშე ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „გურჯაანი“ ქართული ფოლკლორის უნიკალური ნიმუშებით წარსდგა, დიდი მოწონება დაიმსახურა და დიპლომებით დაჯილდოვდა.

ანსამბლმა უკვე მეორედ მოინახულა და მოილოცა ათონის მთაზე არსებული ივერთა მონასტერი, ასევე ვატოპედისა და სხვა სამონასტრო კომპლექსები, სადაც კიდევ ერთხელ გაჟღერდა ქართული ტრადიციული საეკლესიო გალობა.

ბათუმის თოჯინების ფესტივალი დაარსდა

ბათუმის საერთაშორისო თოჯინების თეატრალური ფესტივალი დაარსდა. ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელები ნიკოლოზ საბაშვილი და ირაკლი კიკვაძე არიან. დირექტორები კი – იმედა თავდგირიძე და კონსტანტინე ქარქაშაძე.

სადებიუტო ფესტივალი 8 სექტემბერს გაიხსნა და 13 სექტემბერს დაჯილდოების საზეიმო ცერემონიით დაიხურა.

ტატო გოდერძიშვილმა ყაზახური „ვოისის“ რინგის ტური მოიგო

ყაზახურ ვოისში ქართველი მომღერალი ტატო გოდერძიშვილი მონაწილეობს. მან ბრმა მოსმენების ტური წარმატებით გაიარა, ოთხივე მწვრთნელი შემოაბრუნა და საუკეთესოთა შორის მოხვდა.

რაც შეეხება ე.წ. რინგის ტურს, ტატომ ამ ტურში ყაზახური სიმღერა იმღერა და გამარჯვებულად დასახელდა.

მომდევნო ტურში ქართველი მომღერალი იტალიური სიმღერით „კარუზო“ აპირებს წარდგეს მსმენელისა და მწვრთნელების წინაშე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

60 წლის მამაკაცმა, რომელიც 20 წლის ბიჭივით გამოიყურება, საიდუმლო გაამხილა

60 წლის ბრაზილიელმა, რომელიც გარეგნულად 20 წლის ახალგაზრდა მამაკაცივით გამოიყურება, განაცხადა, რომ ასეთ შედეგს რეგულარული ვარჯიშებით მიაღწია.

სანტა-კატარინას შტატის ქალაქ ფლორიანოპოლისის მცხოვრებმა ნილ მარინომ სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე განათავსა ვიდეო, რომელშიც წარმოადგინა საბუთი, რომელიც, როგორც პენსიონერს, მანქანის უფასოდ გაჩერების უფლებას აძლევს.

– თქვენ სარგებლობთ ხანდაზმულებისთვის განკუთვნილი შეღავათებით? ეს ლოგიკურია 60 წლის ასაკში! – დაწერა ვიდეოს კომენტარში ბრაზილიელმა.

მამაკაცის გარეგნობამ მრავალი ინტერნეტის მომხმარებელი გააოცა. მას სახეზე ერთი ნაოჭიც კი არ აქვს. შესანიშნავ ფიზიკურ ფორმაში იმყოფება და მიუხედავად თმაში შეპარული ჭაღარისა, თავის ასაკზე სამჯერ უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება.

მის მიმართ გაზრდილი ინტერესის პასუხად, მარინომ დაწვრილებით ისაუბრა საკუთარ ვარჯიშებზე.

– სახლში კვირაში ხუთ დღეს ვაკეთებ ჩაბუქნებს. ხუთჯერ 100 ჩაბუქნას. დღის მეორე ნახევარში ძალისმიერ ვარჯიშებს ვასრულებ სპორტულ დარბაზში, ასევე კვირაში ხუთ დღეს, – დაწერა მარინომ და დაამატა, რომ ყოველდღე ან ფეხით დადის ან ველოსიპედით.

ფერმერი უიშვიათეს უზარმაზარ სოკოს გადააწყდა

73 წლის სამხრეთ კორეელმა ფერმერმა უიშვიათესი უზარმაზარი სოკო იპოვა, რომელიც დაახლოებით 50 მილიონ ვონად იქნა შეფასებული.

ფერმერი სო კი სოკი ორ-კილოგრამიან სოკოს იმ დროს გადააწყდა, როდესაც ჩუნჩხონ-ნამდოს პროვინციის ქალაქ ჰონსონში ბალახს თიბავდა. თავდაპირველად მან იფიქრა, რომ უზარმაზარი კვერცხი იპოვა. თუმცა, მალე ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მამაკაცის ნაპოვნი სოკო ქამა სოკოსნაირთა რიგს განეკუთვნება. ასეთი სოკოები ზომიერ კლიმატურ ზონაში გვხვდება და იზრდებიან მდელოებზე, მინდვრებსა და ტყის პირებზე.

ასეთი სოკოს დიამეტრმა შესაძლოა 50 სანტიმეტრს, ხოლო წონამ ოთხ კილოგრამს მიაღწიოს. ახალგაზრდა სოკო საჭმელად ვარგისია, თუმცა, გადამწიფებული მოყვითალო ფერს იღებს და შესაძლოა, კუჭის გაღიზიანება გამოიწვიოს. ის სამკურნალოდაც ითვლება და ხელს უწყობს სისხლის შედედებას.

11 შიშველი ქალი და მამაკაცი სახალხოდ პოზირებდა

კოლუმბიაში თვითმხილველებმა სურათები და ვიდეოები გადაუღეს 11 შიშველ ქალსა და მამაკაცს, რომლებიც მრავალსართულიანი სახლის პანორამულ ფანჯარასთან პოზირებდნენ.

ეს უცნაური ჯგუფი ანტიოკიას დეპარტამენტის ქალაქ მედელინში შენიშნეს. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, თავდაპირველად შიშველი ადამიანი გამოჩნდა ფანჯარაში, შემდეგ კი მათ კიდევ ოთხი პიროვნება შეუერთდა. ერთ-ერთმა თვითმხილველმა მათ ვიდეო მოპირდაპირე სახლიდან გადაუღო.

ადგილობრივებს საკუთარი აღშფოთება არ დაუმალავთ უცნობი პირების ასეთ ქმედებაზე.

– ისინი ალბათ რომელიმე სექტის წევრები არიან, ან რაიმე მსგავსის. ეს ძალიან ცუდი საქციელია, – განაცხადა ერთ-ერთმა ადგილობრივმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რუსული გემიც იწვის

ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი კიმ ჩენ ინი რუსეთში ჩავიდა. ამურის ოლქში კოსმოდრომ ვოსტოჩნის ტერიტორიაზე ის შეხვდა ვლადიმერ პუტინს.

პუტინი აშკარად თავს იწონებდა კორეელი სტუმრის წინაშე. მან განაცხადა:

– რუსები და კორეელები მუდამ ძმები იყვნენ! თავის დროზე, 1950-53 წლებში, ჩვენ დავეხმარეთ კორეას ამერიკულ იმპერიალიზმთან ომში. დადგა დრო, როცა ჩვენი კავშირი უნდა აღვადგინოთ!

კიმ ჩენ ინმა საპასუხო სიტყვაში აღნიშნა, რომ რუსეთი თავისი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის იბრძვის. ამერკული იმპერიალიაზმი, ამხანაგ კიმის აზრით, ძალზე გათავხედდა. მან რუსეთში საკუთარი ბაზების განთავსება მოისურვა.

ზუსტად ამ დროს მსოფლიოში გავრცელდა სენსაციური ინფორმაცია. ის მთელი მსოფლიოს მედიამ გააშუქა. მან შორეულ აღმოსავლეთამდეც მიაღწია.

დრონებით თავდასხმის შედეგად აფეთქდა სევასტოპოლის სერგო ორჯონიკიძის სახელობის გემთსარემონტო ქარხანა. დაზიანდა 6 გემი და ერთი წყალქვეშა ნავი, საიდანაც რუსები უკრაინელებს კალიბრის ტიპის რაკეტებს უშენდნენ. ადგილობრივ გემთსარემონტო ქარხანას კი ცეცხლი გაუჩნდა. ამ ინფორმაციამ მთელი მსოფლიო მოიარა. ის პუტინს წინ დაუდეს.

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი აშკარად შეცბუნებული იყო. ის მოელოდა, რომ ჩრდილო კორეელი სტუმრის ჩამოსვლასთან დაკავშირებით უკრაინის ფრონტზე რაღაც მიღწევები იქნებოდა. პუტინს დიდი იმედი ჰქონდა კუპიანსკსა და სვატოვო-კრემენოეს უბნებზე წარმატებების. ეს არ მოხდა. მეტიც, სევასტოპოლში, ე.წ. „რუსული დიდების ქალაქში“, უკრაინული დრონები აფეთქდა. დაიღუპნენ ადამიანები, დაინგრა სახლები, გაცამტვერდა სევასტოპოლის სახელგანთქმული გემთსარემონტო ქარხანა. პუტინი გულგატეხილი იყო. კიმ ჩენ ინიც მდგომარეობის განმუხტვას შეეცადა.

პუტინის თამაშემწე პესკოვმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეასთან სამხედრო თანამშრომლობის საკითხი ჯერ დღის წესრიგში არ დგას. პუტინმა დაამატა, რომ რუსეთი საერთაშორისო სტრუქტურების წინააღმდეგ არ წავა და ამიტომ არ დაარღვევს იმ სანქციებს, რომლებიც გაერომ ჩრდილეთ კორეას დაუწესა.

მიუხედავად ამისა, ცხადი იყო, რომ სევასტოპოლის ბათქებმა პუტინს მშვიდი ძილი დაუფრთხო. ეს მას ალბათ აღარასდროს უწერია.

ფორუმი კაპიტოლიუმის ბორცვზე

აშშ-ში კაპიტოლიუმის ბორცვზე ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული ფორუმი ჩატარდა. მას დაესწრნენ მილიარდერები ილონ მასკი და ცუკენბერგი, აგრეთვე კონგრესის დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები.

ყირიმი ცეცხლშია გახვეული

უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებები გრძელდება. შედარებითი სიწყნარე იყო კუპიანსკის მიმართულებით. მართალია, რუსი ოკუპანტები შეტევების გაგრძელებას ცდილობდენ, მაგრამ ბევრად ნაკლები ინტენსიურობით, ვიდრე ადრე. კუპიანსკთან ოკუპანტებმა გარღვევა ვერ შესძლეს.

განსხვავებული ვითარებაა სვატოვო-კრემენოეს მიმართულებით. აქ რუსები ინტესიურად უტევდნენ. მიუხედავად ამისა, გარღვევა ვერც ფრონტის ამ უბანზე მოახერხეს.

სისხლისმღვრელი ბრძოლები არ წყდება დონეცკის ფრონტზე. ოკუპანტებმა ავდეევკის მახლობლად სოფელი ოპიტნოეს დაკავება სცადეს. ეს წარუმატებელი აღმოჩნდა. უკრაინელებმა ყველა პოზიცია შეინარჩუნეს. შეტაკებები არც სპარტაკის მახლობლად წყდებოდა. ის დონეცკიდან 8 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. რუსებიც აქედან უკრაინელების განდევნას შეეცადენ, მაგრამ ამაოდ. უკრაინელებმა ყველა პოზიცია შეინარჩუნეს.

შეტაკებები არც ბახმუტის შემოგარენში წყდება. უკრაინულმა არმიამ კიდევ რამდენიმე სიმაღლე დაიკავა. რაც შეეხება ქალაქ ბახმუტს, ის მთლიანად უკრაინელების ცეცხლოვანი კონტრლის ქვეშაა.

დონეცკის ფრონტის დანარჩენ უბნებზეც ინტენსიური ბრძოლებია. ოკუპანტები დაკარგული პოზიციების დაბუნებას ცდილობენ, მაგრამ მათი გარჯა ამაოა.

ზაპოროჟიეს ფრონტზეც ბრძოლებია. უკრაინელები უტევენ სოფელ ნოვო– პროკოპიევკაკასა და ვერბივკას. პუტინის ბრძანებით, აქ რუსებმა დამატებითი ძალები გადასხეს. საუბარია სადესანტო ჯარებზე. მათ მელიტოპილისა და ბერდიანსკის დაცვა ევალებათ.

დაძაბულობა არ ცხრება ყირიმშიც. სევასტოპოლში მომხდარ აფეექებათა სერიას დაემატა ფეოდოსიაში, სიმფეროპოლში, ჯანკოისა და სხვა ქალაქებში მომხდარი აფეთქებებიც. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სევასტოპოლსა და ევპატორიაში მომხდარი აფეთქებები. ყირიმი ცეცხლშია გახვეული.

დარტყმები უკრაინის ტერიტორიაზე

ყირიმზე შეტევისა და ფრონტებზე არსებული დანაკარგების პასუხად, რუსებმა უკრაინა დაბომბეს. კერძოდ, დაარტყეს ოდესის, ნიკოლაევის, დნეპროპეტროვსკის ოლქებს, აგრეთვე ქალაქ ხერსონს. აქ დაიღუპა 6 წლის ბავშვი.

უკრაინის მიმართულებით გაშვებულ იქნა 22 დრონი. უკრაინელებმა აქედან 17 ჩამოაგდეს.

დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებებია: თვითმფრინავები – 315; ტანკები – 4.599; გელიკოპტერები – 316. განადგურებულია – 270.970 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჩინეთში 100-კილოგრამიანი ნიანგები ფერმიდან გაიქცნენ



ჩინეთის პროვინცია გუანდუნში კოკისპირული წვიმების შედეგად 70-ზე მეტი ნიანგი გაიქცა ფერმიდან.

აღნიშნული შემთხვევა მაონანის ოლქის სოფელ პენში ორშაბათს, 11 სექტემბერს მოხდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რეგიონზე თავსდატეხილმა ქარიშხალმა ნიანგების ფერმა დაანგრია, რის შედეგადაც თავისუფლებაზე 69 მოზრდილი ნიანგი და ექვსი მათი ნაშიერი აღმოჩნდა. ისინი შენიშნეს დასახლების ქუჩებში მიმდინარე ნიაღვრებში. ადგილობრივების თქმით, გაქცეული ნიანგების უმრავლესობა მოზრდილი ცხოველი იყო და თითოეული მათგანის წონა 100 კილოგრამს აღემატებოდა.

ადგილზე იმყოფება სპეციალისტების რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც გაქცეული რეპტილიების მიგნებას ჰიდროსალოკაციო მოწყობილობებით ცდილობენ. პროვინციის ხელისუფლებამ ადგილობრივი მოსახლეობა გააფრთხილა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და ურჩია, აუცილებელი საჭიროების გარეშე, სახლები არ დატოვონ და თავი შორს დაიჭირონ წყალსაცავებიდან. აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის რამდენიმე ნიანგის დაჭერა მოხერხდა, თუმცა, 50 რეპტილიას ჯერ ისევ ეძებენ.

სპორტი

ილიას ზუროსი: ამერიკასთანაც რეგბი ითამაშონ, ქართველები გუმარჯვებენ – ევროპა დარწმუნებულები იქნებიან

მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ილიას ზუროსმა ბერძნულ მედიასთან ისაუბრა.

– ფიქრობდით, რომ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე 8 წელს გაატარებდით?

– როდესაც საბერძნეთის ნაკრებში მუშაობა დავასრულე, გადავწყვიტე, ნაკრებში აღარ მემუშავა, რადგან საკლუბო სამუშაოსგან ძალიან განსხვავდება. როდესაც ნაკრების მწვრთნელი ხარ, კალათბურთელებთან მუშაობისთვის ძალიან ცოტა დრო გაქვს. ზამთარში კი დრო საერთოდ არ არის. 2-3 დღეში უნდა მოასწრო და იმუშაო ტაქტიკაზე და მოთამაშეებისგან მაქსიმალური სარგებელი მიიღო. ასეთ პირობებში აუცილებელია იღბალი, ბევრი რამ დამოკიდებულია, როგორ ჯგუფში მოხვდები, როგორი შემადგენლობით ითამაშებ.□

– იღბალს ისლანდიასთან მატჩში გულისხმობთ? ფრიდრიკსონს ბოლო წამებზე სამქულიანი რომ ჩაეგდო, საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ ითამაშებდა.

– ისლანდიასთან მატჩამდე იტალიას ვეთამაშეთ. თითქმის მთელი დრო წინ ვიყავით, მაგრამ ბოლო წამებზე დაშვებული შეცდომის გამო დავმარცხდით. შეცდომა იყო დაშვებული წამების აღრიცხვაში. ასე რომ არ ყოფილიყო, ბოლო შეტევაში თორნიკე შენგელიაზე ჯარიმა საფინალო სირენამდე დაფიქსირდებოდა და საჯარიმოს ხაზზე დადგებოდა,□ გავიმარჯვებდით იტალიასთან და ისლანდიასთან ბოლო წამამდე მოლოდინი არ დაგვჭირდებოდა. არც ის იყო გამორიცხული, იტალია მსოფლიო ჩემპიონატს მიღმა დარჩენილიყო. მცირე დეტალებს დიდი მატჩების ბედის გადაწყვეტა შეუძლია.

გავიხსენოთ, რომ ბევრი კარგი გუნდი ვერ მოხვდა მსოფლიო ჩემპიონატზე მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სანაკრებო ფანჯრებისას ვერ შეკრიბეს საბრძოლო შემადგენლობა.

– საქართველოს ნაკრების მწვრთნელობისას სტერეოტიპების დამსხვრევა შეძელით?

– როდესაც უცხოეთში მუშაობთ (ნაკრებში თუ კლუბში), იქაური კულტურა, ტრადიციები, ხალხის ფილოსოფია უნდა გაიცნოთ, რათა მათ „ტყავში შეძრომა“ მოახერხო. ანუ უნდა შეძლო იმ განსხვავებების გარჩევა, რაც ახალი ქვეყნისა და თქვენს კულტურაშია. ეს ადაპტაციისთვის კარგ საფუძველს მოგცემთ. 8 წლის განმავლობაში ბევრი სირთულე იყო. 2016 წელს, როდესაც საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად დავინიშნე, ძალიან ნიჭიერი გუნდი იყო. თუმცა, რამდენიმე წამყვანმა კალათბურთელმა მალე კარიერა დაასრულა: ზაზა ფაჩულიამ, მანუჩარ მარკოიშვილმა, ვიქტორ სანიკიძემ. მანუ ახლა ჩემი ასისტენტია, ვიქტორი კი, კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. მათი გამოკლების შემდეგ რეზერვით შევსებას შევეცადეთ, მაგრამ საბერძნეთთან და მსგავს ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ნაკლები რესურსია.

– რა აღმოაჩინეთ პირველ ვარჯიშზე?

– დიდი დრო არ დამჭირდა იმის გასააზრებლად, როგორ მეთამაშა. საქართველოს ნაკრებს სჭირდებოდა რაღაც მიზანმიმართული. „ფრისტაილი“, რომელსაც შეჩვეულები იყვნენ, სათანადო შედეგს ყოველთვის ვერ იძლეოდა. ნიჭიერ გუნდს ნელ-ნელა საკუთარი ფილოსოფია გადავეცი. უმთავრესად დაცვას ვგულისხმობ. ეს იყო მთავარი, რაზეც სამუშაო გვქონდა და, ვფიქრობ, ცუდად არ გამოგვივიდა. ზოგი რამ ახალი დავამატეთ, ზოგი რამ ჩემი წინამორბედის, იგორ კოკოშკოვისგან დავტოვეთ.

მძიმე დროება ორი წლის შემდეგ დადგა, როცა ზემოთ ჩამოთვლილი კალათბურთელები წავიდნენ. ამას დაემთხვა ფიბა-ს ახალი სისტემა და ფანჯრები, რომლის დროსაც ევროლიგის კალათბურთელები ნაკრებს ვერ ეხმარებოდნენ. ამ გზაზე ჩვენი პირველი მეტოქე გერმანია იყო!

– ნაკრების პარალელურად, მუშაობდით ბუდუჩნოსტში, პერისტერ-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ორანგუტანი მრავალი წლის სექს-მონობიდან დაიხსნეს

ინდონეზიელმა ცხოველთა დამცველებმა მდედრი ორანგუტანი გადაარჩინეს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში სექსუალურ ძალადობას განიცდიდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მაიმუნი სახელად პონი სექს-მონობაში მისი ყოფილი პატრონის წყალობით აღმოჩნდა. მამაკაცს ის ჯაჭვით ჰყავდა დაბმული და ფულის სანაცვლოდ მსურველებს სქესობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად უთმობდა. მისი განთავისუფლება არაერთხელ სცადეს, თუმცა, მისი მფლობელი მას არ თმობდა.

საბოლოოდ, ცხოველის განთავისუფლება პოლიციის დახმარებით მოხერხდა. ორანგუტანი ცხოველთა სარეაბილიტაციო ცენტრში გადაიყვანეს. ის დამოუკიდებლად საკვების მოპოვებას ვეღარ ახერხებდა. ამჟამად ის ვოლიერში სხვა ორანგუტანებთან ერთად ცხოვრობს.

კალეიდოსკოპი

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ქართული ძალოსნობა დოპინგის საფრთხეშია

საუდის არაბეთში ძალოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს, სადაც საქართველოს დელეგაციაც გამოდის. თუმცა, ორი სპორტსმენი – რევაზ დავითაძე და გიორგი ჩხეიძე ფიცარნაგზე გასვლამდე გამოაკლდა.

inside the games-ის ინფორმაციით, ორი ქართველი ძალოსანი შინ დაბრუნდა და 2024 წლის პარიზის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის შანსი დაკარგეს. როგორც ირკვევა, სპორტსმენებმა წონა ვერ ჩააბარეს.

აი, რას წერს გამოცემა:

– საქართველოდან მოსული ინფორმაციის თანახმად, დავითაძე ქვეყნის ანტისადოპინგო სააგენტოს მიერ დროებით დისკვალიფიცირებულია, ხოლო ჩხეიძის შემთხვევაში საქმე კუნთის გაწყვეტასთან გვაქვს.

თუმცა, გამოცემის ცნობები დოპინგთან დაკავშირებით უფრო შემაშფოთებელია. საუბარია საქართველოში ერთ სავარჯიშო ცენტრზე, სადაც საეჭვო ვითარებაში დაფიქსირდა 10 დადებითი შედეგი სპორტის სამ სახეობაში – ძალოსნობა, ჭიდაობა და ძიუდო.

– ამ დროისთვის გარიცხვას ის ხუთი ქვეყანა ექვემდებარება, ვისაც 2022 და 2023 წლებში საერთაშორისო დონეზე სამი ან მეტი დარღვევა დაუფიქსირდათ. ესენია: პაკისტანი, უკრაინა, თურქმენეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი. საქართველოს ტოკიო 2020-ის შემდეგ ორი შემთხვევა აქვს. კიდევ ერთი ფაქტი და ამ ხუთ ქვეყანას გაუთანაბრებდა. ამ შემთხვევაში ქვეყანამ, შესაძლოა, ოლიმპიური კვოტების ნაწილი სრულად დაკარგოს.

დინამოს ტრანსფერები

სანამ სანაკრებო პაუზა იყო, თბილისის დინამოში რამდენიმე ტრანსფერი განხორციელდა.

დედაქალაქურ გუნდს ხორვატი შემტევი დენის ბუშნია შეუერთდა, რომელიც თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა. მისი ბოლო კლუბი სლოვენიური ბრავო გახლდათ. ახალგაზრდა ფლანგელს, შეტევის როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა ფლანგზე თამაში შეუძლია.

ბუშნია ხორვატული რიეკას საფეხბურთო აკადემიის აღზრდილია, ამ კლუბის გარდა, სხვადასხვა დროს მას ხორვატულ ისტრაში და სლოვაკურ სერედში უთამაშია.

რაც შეეხება ბუშნიას სანაკრებო კარიერას, ხორვატიის 16-წლამდე, 19-წლამდე, 20-წლამდე და 21-წლამდე ნაკრები გუნდების წევრი გახლდათ.

ბუშნიასა და დინამო თბილისს შორის ხელშეკრულება 2025 წლის ბოლომდე გაფორმდა, ხორვატი შემტევი ლურჯ-თეთრების რიგებში 25-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს.

მეორე ნამატი ესპანელი მცველი კიკე ლოპესია, რომელიც ასევე თავისუფალი აგენტის სტატუსით ავსტრალიური მელბურნ ვიქტორიადან შეუერთდა. კიკეს თამაში როგორც მარცხენა, ასევე ცენტრალური მცველის პოზიციაზე შეუძლია.

ლოპესი ალკორკონის აღზრდილია, კარიერის განმავლობაში კიდევ ერთ ესპანურ გუნდში უნიონ ალგარვეში თამაშობდა. სამშობლოს გარდა, ლოპესი მუსკატში, ნაფლუისისა და კერეტაროს ღირსებას იცავდა. 29 წლის მცველს ყაზახური ასტანას რიგებშიც უთამაშია.

დინამო თბილისსა და ლოპესს შორის ხელშეკრულება 2024 წლის ბოლომდე გაფორმდა და ყველაზე ტიტულოვან ქართულ გუნდში 30-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს.

სამაგიეროდ, დინამო ჯიმი ტაბიძემ დატოვა. მხარეებს შორის კონტრაქტი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყდა.

ტაბიძე დინამოელთა ღირსებას 2022 წლიდან იცავდა და ამ პერიოდის განმავლობაში 36 მატჩში მიიღო მონაწილეობა. ვიცეკაპიტანმა 2022 წლის სეზონში დინამოსთან ერთად საქართველოს ჩემპიონობა იზეიმა, მიმდინარე წელს კი, სუპერ თასსაც დაეუფლა.

საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი მადლობას უხდის ჯიმი ტაბიძეს, კლუბში გატარებული პერიოდისთვის და სამაგალითო პროფესიონალიზმისთვის. ჩვენი კლუბის სახელით წარმატებას ვუსურვებთ მას მომავალ კარიერაში.

ჩვენი ინფორმაციით, გუნდიდან წავიდა გაგი მარგველაშვილიც. თუმცა, ამის შესახებ ჯერ კლუბს ინფორმაცია არ დაუდასტურებია.

წყალბურთელებმა მეტოქეები გაარკვიეს

2024 წლის 3-16 იანვარს, ისრაელში, წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი გაიმართება. ნეთანიაში საქართველოს ნაკრებიც ითამაშებს. გაიმართა წილისყრა და ჩვენმა გუნდმა მეტოქეები გაარკვია.

ტურნირი ახლებური ფორმატით ჩატარდება: 16 ნაკრები გასული ევროპირველობის შედეგების მიხედვით ორ დივიზიონში გადანაწილდა. საქართველო ხორვატიასთან, უნგრეთთან, ესპანეთთან, იტალიასთან, საბერძნეთთან, საფრანგეთთან და მონტენეგროსთან ერთად პირველ დივიზიონში მოხვდა; ნიდერლანდები, გერმანია, სერბეთი, რუმინეთი, ისრაელი, მალტა, სლოვაკეთი და სლოვენია – მეორე დივიზიონში.

პირველი დივიზიონის 8 ნაკრები ორ ჯგუფში გადანაწილდა. ა ჯგუფში ხორვატია, ესპანეთი, საფრანგეთი და მონტენეგრო მოხვდნენ, ხოლო ბ ჯგუფში – უნგრეთი, იტალია, საბერძნეთი და საქართველო.

ორ-ორი საუკეთესო მეოთხედფინალში პირდაპირ გავა, მესამე-მეოთხე ადგილოსნები კი, მეორე დივიზიონის ჯგუფების ორ-ორ საუკეთესოს შეხვდებიან და 4 მეოთხედფინალისტის ვინაობას გაარკვევენ.

ფუტსალის ნაკრები სომხეთს უმასპინძლებს

საქართველოს ფუტსალის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ელიტ რაუნდის მატჩებისთვის ემზადება.

საქართველოს ნაკრები ე ჯგუფშია, სადაც მეტოქეებად პორტუგალია, სომხეთი და ფინეთი ჰყავს. სულ ელიტ რაუნდში 20 გუნდია, რომელიც ხუთ ჯგუფში გადანაწილდა. ჯგუფებიდან ფინალში მხოლოდ გამარჯვებულები გავლენ, ხოლო ოთხი საუკეთესო მეორეადგილოსანი კი, ორი საგზურის მფლობელ ნაკრებს ფლეი ოფში გაარკვევს.

15 სექტემბერს, ავთანდილ ასათიანის გუნდი სომხეთის ნაკრებს უმასპინძლებს, 20 სექტემბერს კი, პორტუგალიას სტუმრად ეთამაშება.

მოახლოებული მატჩებისთვის ავთანდილ ასათიანმა 14 ფეხბურთელი გამოიძახა და თბილისში ვარჯიშობს.

ასათიანის მიერ გამოძახებული შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: ზვიად კუპატაძე (გაზპრომ იუგრა, რუსეთი), თორნიკე ბუკია (აქტობე, ყაზახეთი);

წინა ხაზი: შოთა თოფურია, ირაკლი თოდუა, ვახტანგ ჯვარაშვილი, ვახტანგ კეკელია, რონინიო (ყველა ნიუ ვიუენ ჯორჯიანსი), სიმი საიოტი (ელეკტრიკო, პორტუგალია), ბინიო (ალბალი, ესპანეთი), თალესი (კასკაველი, ბრაზილია), ფერნანდო (ჯოინვილი, ბრაზილია) შაგინია, ბრუნო გომესი (ორივე მალიორკა, ესპანეთი), გიორგი ღავთაძე (ტიუმენი, რუსეთი).

ილიას ზუროსი: ამერიკასთანაც რომ ითამაშონ, ქართველები გამარჯვებაში დარწმუნებულები იქნებიან

დასაწყისი მე-6 გვერდზე

სა და პრომეთეოსში. ამ კლუბებიდან ნაკრების გამო ხომ არ წამოხვედით?

– მქონდა მოლაპარაკება, რომლის მიხედვითაც ყველაფერი მისაღები იყო, რაც ნაკრებში მუშაობაში ხელს არ შემიშლიდა. ფედერაციასთან მუდმივ კონსულტაციებში ვიყავი. მაგალითად, თუ რომელიმე ნაკრებს წვრთნი, ესპანეთის უმაღლეს ლიგაში მუშაობის უფლება არ გაქვს. ორი წლის განმავლობაში იყო შემოთავაზებები ესპანეთიდან, მაგრამ არ წავედი, რადგან საქართველოს ნაკრების დატოვება მომიწევდა.

გასულ წელს მივიღე წინადადება რუსული კლუბიდან, მაგრამ უარი პოლიტიკური შეხედულებების გამო ვთქვი.

– ქართველები როგორი ხალხია? თქვენი ტემპერამენტი მოდის შესაბამისობაში?

– ქართველებსა და ბერძნებს ბევრი საერთო გვაქვს. ქართველებს ფეთქებადი ხასიათი აქვთ, მძაფრად აღიქვამენ იმედგაცრუებას და იოლად სწევენ თამასას, ზოგჯერ იმის გაუცნობიერებლად, რას მივაღწიეთ. ამ თემაზე თორნიკე შენგელიასთან მქონდა საუბარი. მის სიტყვებს არასდროს დავივიწყებ. ლიმონი ბოლო წვეთამდე გამოვწურეთ, – მითხრა ერთხელ. მართლაც ასე იყო: გაცილებით უკეთესად ვითამაშეთ, ვიდრე გუნდს რეალურად შეეძლო. ძალიან წინ წავედით. არ ვიცი, გაიგო თუ არა მსოფლიომ, რას მივაღწიეთ.

– როგორ მიიღეთ დევიზი – „ქართული სული“?

– ქართველები ამაყი და მებრძოლი ხალხია. მათ არაფრის ეშინიათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსოფლიოს ნებისმიერ გუნდთან უშიშრად იბრძვიან. აშშ-სთან რომ გავიდეთ, ქართველები დარწმუნებულები იქნებიან, რომ გაიმარჯვებენ. ქართული სული – ეს სიყვარულია ქვეყნისა, რომლისთვისაც მუდმივად იბრძვიან, არასდროს ნებდებიან.

რაც შეეხება კაპიტან თორნიკე შენგელიას, დიდი პატრიოტია, უყვარს ნაკრები. თებერვალში ოთხ დღეში სამი მატჩი ითამაშა – ორი ნაკრებში და ერთიც კლუბში. ვერც ვითვლი, რამდენი თვითმფრინავი გამოიცვალა, რომ საქართველოს ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლაში დახმარებოდა. ის სამაგალითო ადამიანია.

– მსოფლიო ჩემპიონატზე ავსტრალიასთან მატჩის შემდეგ კალათბურთელებს რვაწლიანი ერთობლივი შრომისთვის მადლობა გადაუხადეთ.

– როდესაც ამდენ სირთულეს ერთად გადიხარ, მათთან ბევრ საერთოს ნახულობ, ბუნებრივად ახლოვდები. მნიშვნელოვანი მომენტია იმ კალათბურთელებისთვისაც, რომლებიც ათწლეულებია ნაკრებში არიან, მაგალითად, გიორგი შერმადინი და გიორგი ცინცაძე.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის შემდეგ ჩემპიონი მწვრთნელი გორდონ ჰერბერტი რომ ვნახე, ერთიანად მოეხსნა ყოველგვარი სტრესი, დაძაბულობა. რას განიცდის მწვრთნელი ამა თუ იმ ტურნირისა თუ თამაშისას, ხალხი ზოგჯერ ვერ იაზრებს. ასეთ დროს იოლია კრიტიკა. ლაპარაკი ყოველთვის იოლია, მაგრამ ძალიან ცოტაა, ვისაც შეუძლია დიდი საქმის კეთება. უნდა გავაცნობიეროთ, რა პროცესს გადის მწვრთნელი, სპორტსმენი, რა მოცულობის სამუშაოს ასრულებს ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად. სავარძელში ჯდომა და კრიტიკა ყველაზე იოლია.

– ყველაზე მეტად რომელი შეტყობინება დაგამახსოვრდათ მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ?

– 37 წელია მწვრთნელად ვმუშაობ. ჩემი პირველი ქომაგი ჩემი ოჯახია. როგორც წესი, წაგებაში დამნაშავე ყოველთვის მწვრთნელია. ოჯახის წევრები რთულ პერიოდშიც ჩემს გვერდით არიან და წარმატებაც ყველაზე მეტად უხარიათ.

– 57 წლის ბრძანდებით. კალათბურთში 37 წელია მუშაობთ. ამ გადმოსახედიდან რა ადგილი უჭირავს საქართველოს ნაკრებს თქვენს კარიერაში?

– დიდი სითბო მივიღე. სასიამოვნოა, როცა ხალხი ქუჩაში მადლობას გიხდის იმისთვის, რაც გააკეთე; თბილისში მიმავალ თვითმფრინავში მოდიან და სამადლობელი სიტყვებით ხელს გართმევენ. ერთია, პროფესიული მხარე, მეორე – ხალხის სიყვარული. ყოველთვის ვცდილობ, ჩემს კოლეგებს დავეხმარო. პირადი მიზეზის გამო მსოფლიო ჩემპიონატზე გიორგიოს ლიმნაიტისი არ გვყავდა. თუმცა, ანატოლი ბოისა, მანუჩარ მარკოიშვილი, დიმიტრის ანტონიადისი და დიმიტრის დალასი ძალიან დამეხმარნენ.

– ზაფხულში საქართველოს ნაკრები ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირზე ითამაშებს. თქვენ იქ იქნებით?

– საქართველო მსოფლიოს საუკეთესო 16 გუნდში შევიდა. ეს დიდი მიღწევაა. შემდეგში რა მოხდება, არ ვიცი. ველოდებით, რომ ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა სამომავლო გეგმას შეადგენს. განსაზღვრავს, რა გზით წავა ნაკრები, წავა იმ გზით, რითაც ახლა მიდის, თუ აირჩევს გაახალგაზრდავების გზას. ამ თემაზე ფედერაციის ხელმძღვანელებს ველაპარაკე. როდესაც გაახალგაზრდავების გეზს იღებ, 1-2 წელი მაღალ შედეგს ვერ მოითხოვ. ეს გააკეთა ესტონეთმა, რომელიც 30-40 ქულით აგებდა, თუმცა, ახლა ყველა ნაკრებისთვის ანგარიშგასაწევი ძალაა. კარგი გუნდი დადგა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ელექტროტექნიკური პროდუქტის მწარმოებელი ჩინური კომპანია; 2. სიმღერის შესრულება აკომპანიმენტის გარეშე; 3. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 4. ლათინური ამერიკიდან აშშ-ში არალეგალურად შემოსული მუშახელის სახელწოდება; 8. ჯალათის სახელწოდება ძველად საქართველოში; 9. მართული აეროსტატი; 11. ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფიით კილაძის მუსიკაზე შექმნილი ქართული ბალეტი; 12. ბებერი თხა; 14. ქალაქი ჩეხეთში; 16. მსოფლიოში მოპოვებული, ყველაზე დიდი ალმასი; 17. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 19. კომპანია „სონის“ დამფუძნებელი; 21. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი.

თარაზულად: 5. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 6. ცუდი გუნებაგანწყობილება; 7. ცეცხლსასროლი იარაღი; 10. იაპონელთა ნაციონალური ტანსაცმელი; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ბრიტანული მეტალურგიული კონცერნი; 15. ბიჭვინთაში ქანდაკება „ზღვა“-ს ავტორი, ქართველი სკულპტორი; 18. შეძლებულ გლეხთა სახელწოდება საბჭოთა კავშირში; 20. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 22. საქართველოში მოღვაწე გერმანელი მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი; 23. გასართობად შეთხზული მოკლე სასაცილო ამბავი; 24. წყალში გაზავებული სახატავი საღებავი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. არღანი; 2. სადაფი; 3. როდეო; 5. გუჩი; 6. ნაპოლი; 8. სტურუა; 11. ფრენბურთი; 13. არომატი; 14. კალმახი; 15. სისტემა; 19. დილა.

თარაზულად: 1. ალადასტური; 4. შამგონა; 7. ღერღედი; 9. ეპატაჟი; 10. ოფოფი; 12. ბოროდინი; 16. ხანჯლური; 17. ბოჰემია; 18. ამარკორდი; 20. თავთუხი; 21. აისი; 22. ჟორდანია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ლომისა; 2. აგვისტო; 3. ჯაბახანა; 4. პროგრესი; 8. კეტაშვილი; 9. ტაბაწყური; 11. კრახუნა; 12. აბიო; 14. ელია; 16. ჩხოროწყუ; 17. ზაკოპენე; 19. არენდა; 21. ცურვა.

თარაზულად: 5. პანორამა; 6. ავადჰარა; 7. ექსპანსია; 10. ჩარექა; 13. რებუსი; 15. მისხალი; 18. ჩხეიძე; 20. ბაროკო; 22. მზეჭაბუკი; 23. ჭყონდიდი; 24. ავტობანი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

15 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6362

ევრო — 2.8306

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2887

100 რუსული რუბლი — 2.7430

ამინდის პროგნოზი 15 სექტემბრისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარკო ასენსიო ტრავმის გამო ერთი თვე ვერ ითამაშებს

მარკო ასენსიომ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თამაშისას ტრავმა მიიღო და სავარაუდოდ, ის ამ მიზეზით დაახლოებით ერთ თვეს გამოტოვებს. აღსანიშნავია, რომ ასენსიომ მოედანი პირველ ტაიმში დატოვა და მანამდე მან საგოლე გადაცემის გაკეთება მოასწრო.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ასენსიომ შესაძლოა ესპანეთში იმკურნალოს და დროებით პარიზში არ დაბრუნდეს.

შეგახსენებთ, რომ ასენსიო აგვისტოში პსჟ-ს ფეხბურთელი გახდა.

ჯემალ ბაღაშვილი იუბილარია

ჯემალ ბაღაშვილი იუბიალრია. მას 82 წელი შეუსრულდა.

გია ბაღაშვილი, მუსიკოსი:

– მამაჩემი, ჯემალ ბაღაშვილი 82 წლის გახდა!

მამა, გილოცავ დაბადების დღეს! კიდევ ერთხელ და კიდევ მრავალგზის, მადლობა ყველაფრისთვის!

82 რა ასაკია?! შენივე სიტყვებია: „ასი წლისაც არ ვიქნები ბებერი, გული შემრჩეს ოღონდ უბერებელი!". გულიც უბერებელი გაქვს, სულიც და შემოქმედებაც! ღმერთმა დიდხანს გვიმყოფოს შენი თავი ასე მხნედ და შემართულად! ჯანმრთელობა და სიხარული არ მოგკლებოდეს! კიდევ მრავალი წელი გვენახე ბედნიერი შენს მოსიყვარულე მეუღლესთან, შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად!

ხავი: „ვიცი, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგება შეგვიძლია"

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ მათ შეუძლიათ ჩემპიონთა ლიგის მოგება იმ შემთხვევაში, თუ ყველაფერთან ერთად იღბალიც მათ მხარეს იქნება:

– წინა წლებში ჩემპიონთა ლიგაში ისეთი შედეგი ვაჩვენეთ, რომელიც არ შეგვეფერება და წელს მინდა, რომ ყველაფერი შეიცვალოს. ვთვლი, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგება შეგვიძლია და ფეხბურთელებიც იგივე განწყობაზე არიან.

„გელათის გადარჩენის სურვილი ხელისუფლებაში არ არსებობს"

გელათის ტაძარში არსებული ფრესკების უმძიმეს მდგომარეობაზე სამოქალაქო აქტივისტი თორნიკე ბარათაშვილი საგანგაშო ინფორმაციას ავრცელებს:

– მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ორგანიზაცია უწყვეტად აწარმოებდა პროცესზე დაკვირვებას და მეცყოველდღიურ ინფორმაციას ვფლობდი, გარკვეული პაუზის შემდეგ გელათში გუშინდელმა მისვლამ სრულიად დამარწმუნა იმაში, რომ მისი გადარჩენის სურვილი ხელისუფლებაში უბრალოდ არ არსებობს.

24 თებერვალს „გადაულოცა" გელათი წულუკიანმა საპატრიარქოს.

რა შედეგი დგას მას შემდეგ?

მხოლოდ გაუარესება!

ამის დასტური თუნდაც საკურთხევლის კონქში არსებული ღვთისმშობლის უნიკალური მოზაიკაა, რომლის მდგომარეობის გაუარესების დადასტურება ნებისმიერი არაპროფესიონალისთვის, ვისაც თვეების წინ უნახავს, მარტივად არის შესაძლებელი.

მოზაიკაზე გამოხატული დაზიანება გვიყვება კატასტროფულ სურათზე მთელ ინტერიერში და მხატვრობის ქვედა ფენებში, რაც მომავალში კიდევ უფრო მძიმედ იჩენს თავს.

რა არ იკადრეს, რომ წლების მანძილზე ეს უბედურება მიეჩქმალათ, რას არ კადრულობენ, რომ პასუხისმგებლობას გაერიდონ.

თუკი ვინმეს ჰქონდა ილუზია, რომ სხვაგვარად იქნებოდა ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარე პროცესი, პოლიტიკური როქი და საპატრიარქოსა და წულუკიანს შორის უფლებამოსილებების „გადანაცვლება", გელათს არათუ ვერ შველის, დამანგრევლების ვირეშმაკობისა და ტრიუკების ფონზე, მას შეუქცევადად ვკარგავთ.

ლეონარდო ბონუჩი: „იუვენტუსმა დამამცირა"



ტურინის იუვენტუსის მცველმა ლეონარდო ბონუჩიმ ზაფხულში იუვენტუსი დატოვა და ის თვლის, რომ გუნდი მას უპატივცემულოდ მოექცა და მისი ღვაწლი სათანადოდ არ დააფასა:

– როდესაც გუნდში 500-ზე მეტი შეხვედრა გაქვს ჩატარებული, უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებ და ვფიქრობ, რომ იუვენტუსმა დამამცირა, რადგან მათ მითხრეს, რომ საჭირო აღარ ვიყავი და კარისკენ მიმითითეს. მიუხედავად ამისა, გუნდი მუდმივად მეყვარება და მისი გულშემატკივარი ვიქნები.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

„ბერი ანდრიას ფონდი" სიცოცხლის ფესტივალს აწყობს

„ბერი ანდრიას ფონდი" სიცოცხლის ფესტივალს აწყობს. ფესტივალის შემაჯამებელი გალა კონცერტი 29 სექტემბერს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდება.

საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეებას მიიღებენ „ქართული ხმები", ჯგუფი „ალილო", „თეატრალური კვარტეტი", დათუნა სირბილაძე, ქალთა კამერული ორკესტრი და ბენდი დავით მაზანაშვილის ხელმძღვანელობით.

– სექტემბერში მთელი მსოფლიო ონკოლოგიური სენით დაავადებული ბავშვების ირგვლივ ერთიანდება. ეს ბავშვთა კიბოსთან ბრძოლის ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო თვეა. საქართველოში სიცოცხლის ფესტივალის დამფუძნებელი და უკვე მეცხრედ ორგანიზატორი „ბერი ანდრიას სახელობის საქველმოქმედო ფონდია". სიკეთე უსასრულოა, – ნათქვამია ფესტივალის ორგანიზატორთა მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

ნორვეგიის პრინცესამ შამანთან დაქორწინების თარიღი და ადგილი გამოაცხადა

ნორვეგიის მეფის ჰაროლდ V-ის და დედოფალ სონიას ქალიშვილმა, პრინცესა მარტა ლუიზამ თავის საქმროსთან დურეკ ვერეტომთან დაქორწინების თარიღი და ადგილი გამოაცხადა. ამის შესახებ მან ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე დაწერა.

პრინცესას და მისი საქმროს ქორწილი, რომელიც საკუთარ თავს შამანად და სულიერ მოძღვარად მოიხსენიებს, 2024 წლის 31 აგვისტოს გაიმართება. საქორწინო ცერემონია ნორვეგიულ სოფელ გეირანგერის სასტუმრო Union Geiranger-ში შედგება. მარტა ლუიზა თავის რჩეულთან გეირანგერ-ფიორდის სანაპიროზე იქორწინებს, რომელიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია.

– ბედნიერები ვართ, რომ შეგვიძლია ოჯახი და მეგობრები შევკრიბოთ მდიდარი ისტორიისა და წარმოუდგენელი სილამაზის ბუნებაში. გეირანგერი იდეალური ადგილია ჩვენი სიყვარულის საზეიმოდ, – დაწერა საკუთარ გვერდზე პრინცესამ.

აღსანიშნავია, რომ შამანთან დაქორწინებისთვის მარტა ლუიზამ უარი თქვა სამეფო ოჯახის სრულუფლებიან წევრობაზე. პრინცესა ტიტულს შეინარჩუნებს, თუმცა, აღარ ექნება უფლება, ოფიციალურ ღონისძიებებზე სამეფო ოჯახს წარმოადგენდეს.

ნანა შონია „იმედის" თანამშრომელი გახდა

მსახიობი ნანა შონია ტელეკომპანია „იმედის" თანამშრომელი გახდა და „იმედის დილის" ეთერიდან მიესალმება მაყურებელს.

ნანა შონია თანაწამყვანებთან ერთად უქმეებზე საინტერესო სტუმრებთან ერთად, არაერთ მნიშვნელოვან თემაზე ისაუბრებს.

წამყვანობა მსახიობისთვის ერთგვარი სიახლე და გამოწვევაა, ამიტომაც ტელეკომპანია „იმედის" შეთავაზებას სიამოვნებით დათანხმდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

შვიდი წლის გოგონამ საკუთარ დაბადების დღეს მსხვილი ალმასი იპოვა

აშშ-ში შვიდი წლის გოგონამ თითქმის სამი კარატის წონის ალმასი იმ დროს იპოვა, როდესაც საკუთარი დაბადების დღეს აღნიშნავდა.

მსხვილი ძვირფასი ქვა არკანზასის შტატის ქალაქ პარაგულდის მკვიდრმა ასპენ ბრაუნმა იპოვა. მშობლებმა გოგონა დაბადების დღის აღსანიშნავად „ალმასების კრატერის" ეროვნულ პარკში წაიყვანეს.

– მან გადაწყვიტა ერთი წუთით ჩამომჯდარიყო და ღობესთან დიდი ქვებისკენ გაემართა. ერთ წუთში კი ჩემსკენ გამოიქცა ძახილით: „მამა, მამა, ერთი ცალი ვიპოვე!", – იხსენებს ბავშვის მამა.

აღმოჩნდა, რომ გოგონა ოქროსფერ-მოყავისფრო ალმასს გადააწყდა, რომლის წონამ 2.95 კარატი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ წელს „ალმასების კრატერში" მხოლოდ ერთი ალმასი იპოვეს ისეთი, რომელიც გოგონას მიერ ნაპოვნს აღემატებოდა.

პარკის დირექტორის უეიმონ კოქსის თქმით, ის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ქვაა მათ შორის, რომლებიც კი ბოლო წლებში ამ ადგილებში უპოვიათ. სპეციალისტებს მისი ზუსტი ღირებულება ჯერ არ დაუდგენიათ, თუმცა, სავარაუდოდ, მისი ფასი შესაძლოა 18-დან 200 ათას დოლარამდე აღწევდეს, გამომდინარე მისი სისუფთავიდან და წახნაგებიდან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. გარეული მტრედი; 2. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 3. ბრინჯაოს ქართული სახელწოდება; 5. ლუდის დანალექი, გამონახარში; 6. ფრანგი კომიკოსი მამაკაცი; 8. კომბინაცია პოკერში; 11. კუთხმზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 13. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 14. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 15. ფრანგული თოჯინური თეატრის მთავარი პერსონაჟი; 19. ჩრდილოეთის ცივი ქარი ზღვის სანაპიროზე.

თარაზულად: 1. მყარი საწვავი ნივთიერება; 4. საუზმე სადილსა და ვახშამს შორის; 7. უკრაინული ფარმაცევტული ფირმა; 10. რომან „სამი მუშკეტერის" პერსონაჟი; 9. პირადი კომპიუტერი; 12. ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 16. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 17. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 18. სამეფო საბჭოს სხდომა ძველად საქართველოში; 20. რელიგიური საგალობელი; 21. ეგრისის მთავარი; 22. მოხდენილად, ლამაზად ჩამცმელი მამაკაცის სახელწოდება ძველად საქართველოში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა